საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფაფიულებით და ჭიერებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 19 სექტემბერი. 2017 წ. №191 (8328), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ნაპოლეონი ელბაზე არ შეჩერებულა...

4

თავსატეხი – ისევ მაოხრებელი გზირი



ამერიკა ტერორიზმის ყველაზე მეტ საფრთხეს უკრაინასა და თურქეთში ხედავს

8

რისი ჭამა ეკრძალება მოსწავლეს?

3



მურად გოგატიშვილი – შენებისთვის დაბადებული

5

მოსახლეობის 80 პროცენტს ბანკის ვალი აქვს

6

5-თეთრიანმა გადასახადმა ბიზნესის გულისწყრომა გამოიწვია

ალექსანდრე ებანოიძე

ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ“-ის მთავარი რედაქტორი

7

საქართველო გულით დაჰქონდა...



კვიპროსში ქართული კულტურის ფესტივალი გაიმართა

კვიპროსის რესპუბლიკაში ქართული კულტურის რიგით მეორე ფესტივალი ჩატარდა. ფესტივალის ფარგლებში, ქალაქებში ლიმასოლი, პაფოსი და ნიკოზია გაიმართა ქართული ნაციონალური ბალეტის „სუხიშვილების“ ახალგაზრდა თაობის ჯგუფისა და ამირან შალიკაშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრის წარმოდგენები.

ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით, კვიპროსის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რევაზ ლომინაძემ და კვიპროსის რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა კოსტას კადისმა ერთობლივი პრეს-კონფერენცია გამართეს. **„ძალიან ამაყი ვარ, წარმოგიდგინოთ ქართული კულტურის ფესტივალი კვიპროსში. ეს არის ეფექტური გზა, რომ გაგაცნოთ ქართული ფილოსოფია, ფესვები, ნამდვილი კულტურა და ტრადიცია“** – აღნიშნა რევაზ ლომინაძემ.

დეპუტატები უიმუნიტეტოდ!

საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს შესაძლოა იმუნიტეტი მოეხსნათ. აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც იმუნიტეტი ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებმაც მოითხოვეს.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დავით ჭიჭინაძე აცხადებს, რომ ბანკის პოზიციიდან გამომდინარე მათ სამუდამო კომფორტის მიღების გარანტიები სჭირდებათ.

– ამ ქვეყანაში, სადაც კი რაღაც საბჭო შეიქმნება ყველას იმუნიტეტი ვერ მიენიჭება, იმუნიტეტი ვცდილობთ, ქვეყანაში სულ რამდენიმე პირს შეუნარჩუნდეს. გაუგებარია, რის ჩადენას აპირებენ ეს ადამიანები, რომ ასე დაჟინებით ითხოვენ იმუნიტეტს. მათ არ სჭირდებათ იმუნიტეტი და არა მარტო მათ, დეპუტატებსაც არ სჭირდებათ იმუნიტეტი. და ამ ინიციატივით გამოვალთ ალბათ და ამას დიდი წინააღმდეგობა არ ექნება, რადგან პარლამენტარები ისედაც ხალხის რჩეულები არიან და ზედმეტი დაცვის მექანიზმები არაა საჭირო...

პოლიტიკური ანეკდოტი

გუგავა მოვა!..

– ზურგი გეფხანებათ? გუგავა მოვა,
– კუჭში ვერ გადიხართ? გუგავა მოვა,
– შარდი გეხუთებათ? გუგავა მოვა,
– კაცობას უჩივით? გუგავა მოვა,
– უნიტაზი გაგიტყდათ? გუგავა მოვა...
– თუ შველა დასჭირდა, შალიკოც მოჰყვება...
– იქვე იტრიალებს საკუკად კუკავაც...

გუგავა ლუდზე და ჯოკერზე დაპატიჟეს...

„ლეიბორისტული პარტიის“ თბილისის მერობის კანდიდატი, მის წარდგენაზე შალვა ნათელაშვილის ფრაზაზე – „გუგავა მოვა“ – გაკეთებულ ქუბებზე და ვიდეოებზე, რომელიც ინტერნეტსივრცეში განსაკუთრებით პოპულარულია, პირველ კომენტარს აკეთებს. გუგავას თქმით, ის ამ ყველაფერს პოზიტიურად უყურებს და ამბობს, რომ ერთ- ერთ მათგანზე ძალიან ბევრი იცინა და „კინაღამ ჩაბუერდა“.

„სიმართლე გითხრათ ეს „გუგავა მოვა“ სპონტანურად ითქვა, მაგრამ გამოდგა კარგი პიარ-მარკეტინგული ხერხი, თან არაფერი დაგვიხარჯავს...ვნახე ყველა. ამ ყველაფერს პოზიტიურად შევხვდი. ძალიან ბევრი პოზიტიური გამოხმაურება იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ სწორად ითქვა ფრაზა. რა თქმა უნდა, ისეთებიც იყო, რომელმაც შეიძლება გული გატკინოს, მაგრამ ასეთ დროს, პოლიტიკოსმა ცივი წყალი უნდა დალიოს... იყო უცნაური შემოთავაზებები და დაპატიჟებაც – ლუდის დასალევად, კომუნალური საკითხების გადასაწყვეტად, ჯოკრის სათამაშოდ, საერთო ჯამში პოზიტიური გამოხმაურება იყო.“ – აცხადებს გიორგი გუგავა.

პრემიერ-მინისტრი გაეროს გენერალური ასამბლეის 72-ე სესიაზე გამოსასვლელად ემზადება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი გაეროს გენერალური ასამბლეის 72-ე სესიაზე 21 სექტემბერს სიტყვით გამოვა.

ნიუ-იორკში ვიზიტის ფარგლებში, გიორგი კვირიკაშვილი 19 სექტემბერს მონაწილეობას მიიღებს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) მაღალი დონის ღონისძიებაში, რომელზეც საქართველოს პრემიერ-მინისტრი OGP-ის თავმჯდომარეობას, ერთი წლით, საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონისგან გადაიბარებს. საქართველო OGP-ის ისტორიაში პირველად ხდება 75 ქვეყნისგან შემდგარი ორგანიზაციის (ინიციატივის) თავმჯდომარე.

გაეროს გენერალური ასამბლეის 72-ე სესიაზე ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს მთავრობის მეთაურის ორმხრივი შეხვედრები.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაესწრება აშშ-ის პრეზიდენტისა და გაეროს გენერალური მდივნის მიერ ორგანიზებულ შეხვედრას – „გაეროს რეფორმები“, ასევე, მონაწილეობას მიიღებს მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში ინოვაციური დაფინანსების განმტკიცების თემაზე დაგეგმილი მაღალი დონის შეხვედრის გახსნით სესიაში. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ასევე მიწვეულია ოფიციალურ მიღებაზე, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპისა და მისი მეუღლის სახელით გაეროში დელეგაციების ხელმძღვანელთა პატივსაცემად გაიმართება.

აუდიტის სამსახურში პოლიტიკური პარტიების შემომწირველთა გამოკითხვა დაიწყო

აუდიტის სამსახური 14 პირით დაინტერესდა. აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, პარტიებისთვის გადაცემული თანხები შემომწირველთა დეკლარაციებში ასახულ ფინანსებს აღემატება.

აუდიტის სამსახურში „ქართული ოცნების“ შემომწირველებიდან ჯერჯერობით არავინ მისულა აუდიტის სამსახურში გამოკითხვაზე იმყოფებოდა მარიამ რამინაშვილი, რომელიც „ევროპული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრი და ამავდროულად პარტიის ერთ-ერთი შემომწირველია. რამინაშვილი აცხადებს, რომ აუდიტის სამსახური და მმართველი გუნდი პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერების დაშინებას ცდილობს.

„ვფიქრობ, რომ ეს აქტივობა, რომელსაც ახორციელებს აუდიტის სამსახური და ზოგადად მმართველი ხელისუფლება, არის მიმართული ოპოზიციური პარტიების მომხრეთა დასაშინებლად ან დასაფრთხობად, თუმცა შემიძლია ერთმნიშვნელოვნად ვთქვა, რომ ამაოა ნებისმიერი მცდელობა, გამომდინარე იქიდან, რომ თითოეულმა ჩვენგან კარგად ვიცით კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები, შესაბამისობები და გადაწყვეტილებები, რომელსაც ვიღებთ, ეს არის ნებაყოფლობითი,“ – აცხადებს „ევროპული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს წევრი მარიამ რამინაშვილი.

კითხვაზე შეესაბამება თუ არა შემოსავალი გაცემულ შემოწირულობას, მარიამ რამინაშვილი ამბობს, რომ მან „ევროპულ საქართველოს“ მხოლოდ 5 ათასი ლარი შესწირა და შეწირული თანხა სრულ შესაბამისობაში მოდის მის შემოსავალსა და დანაზოგთან.

შეთანხმება საიდუმლო ინფორმაციის დაცვის შესახებ

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრებმა „საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის დაცვის უსაფრთხოების ზომების შესახებ“ შეთანხმება განიხილეს.

მომხსენებლის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის ნანა ბერიძის ინფორმაციით, მთავრობათაშორისი ხელშეკრულება 2017 წლის 9 მაისს პრემიერ-მინისტრის ვაშინგტონში ვიზიტისას გაფორმდა და იგი თავისი შინაარსით ჩარჩო-ხელშეკრულებას წარმოადგენს. მისივე განცხადებით, ანალოგიური შეთანხმება საქართველოს უკვე გაფორმებული აქვს ევროკავშირის და რეგიონის სხვადასხვა სახელმწიფოსთან, რომლითაც საიდუმლო ინფორმაციის დაცვის სამართლებრივი საფუძვლები განისაზღვრება.

პრეზიდენტს და ოპოზიციას მათი ულტიმატუმის შესრულება კონსენსუსად მიაჩნიათ

პარლამენტის ვიცე-სპიკერის გია ვოლსკის შეფასებით, პრეზიდენტს და ოპოზიციას კონსენსუსად მათი ულტიმატუმის შესრულება მიაჩნიათ. ვოლსკი საკონსტიტუციო ცვლილებებზე პრეზიდენტის მიერ ვეტოს დადებას არ გამორიცხავს.

„ბევრჯერ იყო საუბარი იმაზე, რომ პრეზიდენტმა რაღაც პოლიტიკური პლატფორმა აირჩია და თავის გარშემო კრებს პოლიტიკურ პარტიებს – ზოგს ნაცნობს, ზოგს უცნობს... თვითონ არ აკეთებს ამ თემაზე კომენტარს და მე მის მაგივრად ნამდვილად ვერ ვილაპარაკებ. ფაქტია, რომ კონსენსუსად მიაჩნიათ ის, რომ ულტიმატუმი შესრულდეს, რაც უსაფუძვლოა“, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

პარლამენტის ბიურომ პლენარულ სხდომებზე განსახილველი საკითხები განსაზღვრა

ბიუროს სხდომაზე 20-22 სექტემბრის პლენარულ სხდომებზე განსახილველი საკითხების რიგითობა განისაზღვრა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს კენჭსაყრელი და განსახილველი საკითხები გააცნო და ახალი საკანონმდებლო ინიციატივებიც წარუდგინა. ბიუროს სხდომაზე, ინიციატივებთან დაკავშირებით, წამყვანი და სავალდებულო კომიტეტები განსაზღვრა. როგორც სხდომაზე აღინიშნა, მიმდინარე სასესიო კვირას, კანონმდებლები 50 საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის, სხვადასხვა მოსმენის კანონპროექტებსა და პარლამენტის დადგენილების პროექტებზე იმსჯელებენ. **სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ბიუროს მორიგი სხდომა 20 სექტემბერს ქუთაისში 11.30 საათზე, ხოლო პლენარული სხდომა – 12.00 საათზე გაიმართება.**

მარშანია, ლომია, ჩხეიძე და თარხან-მოურავი მოსკოვში 1 ოქტომბერს მიდიან

„პატრიოტთა ალიანსის“ წევრები ადა მარშანია, გიორგი ლომია, ნატო ჩხეიძე და დავით თარხან-მოურავი მოსკოვში 1 ოქტომბერს გაემგზავრებიან, სადაც რუს დეპუტატებს შეხვდებიან.

„მოსკოვში იმისთვის ჩავდივართ, რომ ახლო მომავალში მაინც ჩავიდეთ სოხუმსა და ცხინვალში. ეს არის ჩვენი სტრატეგია და პოლიტიკა. მოსკოვში ჩავდივართ იმისთვის, რომ იმ უმძიმეს ვითარებაზე ვისაუბროთ, რაც ჩვენს საზღვრებზე სუფევს.

პირველ შეხვედრაზე უფრო მეტ თემაზე ვისაუბრეთ, ვიდრე დაგეგმილი იყო. მომავალში დელეგაციის შემადგენლობას გავაფართოვებთ. ამჟამად, სახელმწიფო დუმის დეპუტატებს ვხვდებით, მაგრამ შეხვედრების არეალი გაფართოვდა და რუსეთის ფედერაციის საბჭოს დეპუტატებსაც შევხვდებით...საუბარი გაგრძელდება ნატო-საქართველო-რუსეთის ფორმატზე, რაც თავად ნატოს მიერ არ არის უკუგდებული და ეს ხალხი არ ამბობს, რა სისულელე არისო. მათ გვითხრეს, ეს წინადადება განხილვადია. ქვეყანაში არჩევნები არის თუ არა, რუსეთში მაინც ჩავალთ და სერიოზულ მუშაობას გავაგრძელებთ. ამ გზაზე სვლის დროს, საქართველოში რუსეთზე არანაკლებ სირთულეები გველოდება“, – განაცხადა მარშანიამ.

თბილისის მერმა ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი გახსნა

თბილისს კიდევ ერთი ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი შეემატა - დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ პეკინის №23-ში თანამედროვე სტანდარტების ახალი საბავშვო ბაღი თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელ თემურ თორდინავასთან ერთად გახსნა და ბავშვებს ახალი სააღმზრდელო წლის დაწყება მიულოცა.

№74-ე საბავშვო ბაღი აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის. აღსაზრდელებისთვის აქ არის კეთილმოწყობილი, გამწვანებული შიდა ეზო სათამაშო მოედნითა და ატრაქციონებით. თბილისის მერმა საბავშვო ბაღს საჩუქრად საბავშვო ლიტერატურა გადასცა. საბურთალოს რაიონში, პეკინის 23-ში მდებარე ბაგა-ბაღი 15 წლის წინ დაიხურა, ტერიტორია გასხვისდა დეველოპერულ კომპანიაზე, რომელიც ბაღის ადგილას მრავალსართულიანი კომპლექსის აშენებას გეგმავდა. თბილისის მერიამ აღნიშნული ტერიტორია გასულ წელს ადგილმონაცვლეობის პრინციპით დაიბრუნა და ახალი ბაღის მშენებლობა დაიწყო. ცხრა ჯგუფიან ბაღში დარეგისტრირებულ 350 აღსაზრდელს 70-კაციანი პერსონალი მოემსახურება.

გიორგი გახარიამ მსოფლიოში უმსხვილესი საინვესტიციო გამოფენა გახსნა

„მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს გამოფენაში მონაწილეობით ვეცადეთ, გადაგვედგა პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმისთვის, რომ ქართული ეკონომიკა და ქართული ბიზნესი იყოს ინტეგრირებული ჩინურ კომპანიებთან, ჩინურ ეკონომიკასთან, რადგან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი პირდაპირ გვაძლევს საშუალებას, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ეს ბენეფიტები“ – ამის შესახებ გიორგი გახარიამ ჩინეთში, ქალაქ სიამენში, უმსხვილესი საერთაშორისო საინვესტიციო და სავაჭრო გამოფენის გახსნის ღონისძიებაზე მედიის წარმომადგენლებს განუცხადა. მინისტრის ინფორმაციით, აღნიშნულ გამოფენაზე საქართველოს მოწვეული საპატიო ქვეყნის სტატუსი მიენიჭა და განსაკუთრებული საგამოფენო სივრცე გამოეყო. გამოფენაში 120 ქართული კომპანია მონაწილეობს.



„ეს გამოფენა არის მსოფლიოში ყველაზე დიდი გამოფენა, რომელიც ეძღვნება ინვესტიციებს. ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ წელს მნიშვნელოვან თარიღებს აღვნიშნავთ ჩინეთთან მიმართებაში – ხელი მოვაწერეთ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას და მეორე: ამ ღონისძიებაზე ჩვენ ვართ წარმოდგენილი, როგორც მასპინძელი ქვეყანა და დღეს მოვაწერთ ხელს რამდენიმე მსხვილ კონტრაქტს მსხვილ ჩინურ კომპანიებთან“ – აღნიშნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

გიორგი გახარიას შეფასებით, ჩინეთთან ვაჭრობის დინამიკა იზრდება და ჩინეთი გადმოდის უკვე პირველ ადგილებზე ექსპორტის ნაწილში. უმსხვილესი საერთაშორისო საინვესტიციო და სავაჭრო გამოფენა (China 6nternational Fair for Investment & Trade) ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლების ინიციატივით, 18-21 სექტემბერს იმართება, სადაც საქართველოს მოწვეული საპატიო ქვეყნის სტატუსი აქვს მინიჭებული და მისთვის განსაკუთრებული საგამოფენო სივრცეა გამოყოფილი. გამოფენა მისასალმებელი სიტყვით გიორგი გახარიამ და ფუჯიანის პროვინციის ვიცე-გუბერნატორმა გახსნეს.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ

ᲗᲐᲕᲓᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ, თამაშ-თამაშით, გართობა-გართობითა და სიცილ-კისკისით, მაგრამ ამავდროულად სრული სერიოზულობით შეუდგნენ ჩვენი ყველაზე პატარა მოქალაქეები საზოგადოებრივი ყოფის ანა-ბანის შესწავლის ურთულეს გზას: 18 სექტემბერს თბილისში, ქვეყნის ყველა მხარეში აუარება პატარა გოგო-ბიჭმა ბაგა-ბაღის კარი პირველად შეაღო.

რამდენჯერ გაგვიხარია თუნდაც რამდენიმე დღის უნახავი „ტრუსიკის“ ძმაკაცის თუ დაქალის ხილვით, მათი ხმის გაგონებით და გულში ჩახუტებით! მათი ფასი ხომ, ფაქტობრივად, სამეგობროში, რაგინდ დიდი იყოს იგი, ბევრს არც არავინ გვყავს! ეს ერთ „ღამის ქოთანზე ჯდომისდროინდელ“ მეგობრობა კი უამრავ შემთხვევაში სწორედაც ბაგა-ბაღებში იწყება ხოლმე, ამდენად იქაური გარემო, პედაგოგების დამოკიდებულება დიდად განაპირობებს მის ძლიერებას. იმის გათვალისწინებით, რომ ჯერ ჩამოუყალიბებელი მსოფლმხედველობის პატარა დღის უმეტეს ნაწილს სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებაში ატარებს. ამდენად, სწორედ იქაურ გარემოზეა დამოკიდებული, დიდწილად, რამდენად ლაღად ჩამოყალიბდება ბავშვის საზოგადოებრივი „მე“.

ამ შემოდგომით თბილისში ხუთმა ახალმა ბაგა-ბაღმა პირველად გაუხსნა კარი აღსაზრდელებს. ყველაზე ლაპარაკი, ცხადია, ერთ პატარა საგაზეთო მალაში ვერ მოხერხდება, მაგრამ ზოგიერთს მაინც წარმოგიდგენთ სიამოვნებით. ერთი მათგანია ჩუღურეთის რაიონში, ჩიტაიას ქუჩაზე 69-ე ბაგა-ბაღი, რომელიც აგების დღიდან გამვლელ-გამომვლელთა ყურადღებას იპყრობს მინის უჩვეულო ექსტერიერით, ორიგინალურად გაფორმებული ატრაქციონებით, კედლების ხასხასა, მხიარული ფერებით, ზღაპრული გმირებით გაფორმებული ეზოთი და ნათელი ინტერიერით.

— წლეულს 327 აღსაზრდელი გვყავს, რაც უდავოდ დიდი საქმეა იმ უბნისთვის, სადაც აქამდე საბავშვო დაწესებულება არ ყოფილა, — ამბობს ბაგა-ბაღის დირექტორი **ᲐᲜᲐ ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔ**. — ტრადიციულ სამჯერად კვებას შუადღეს ხილით კვებაც დავამატეთ, ამდენად დილის 9-დან საღამოს 6 საათამდე პატარებს ოთხჯერ ვკვებავთ.

ჩუღურეთის რაიონის გარდა ჩვენ კიდევ ნაძალადევის რაიონის ზღვის უბანში სავაჭრო ცენტრის წინ №113-ე საბავშვო ბაღს ვესტუმრეთ, რომელიც ერთბაშად რამდენიმე კვარტლის (მე-9, მე-10, სხვების) მოსახლეობას ემსახურება. მართალია, ამ ადგილას საბავშვო ბაღი უწინაც იყო, მაგრამ მერე შიდა ქართლში რუსეთის აგრესიის შედეგად, სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებული ხალხი ჩასახლდა და ისინი დღესაც იქაურობას არიან შეფარებულები. ამდენად, პატარებისთვის ახალი ბაგა-ბაღის აშენება გახდა საჭირო, რომელიც გუშინ გაიხსნა.

— ახალი ორსართულიანი ბაგა-ბაღი საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად აიგო, — გვითხრა დირექტორმა **ᲜᲘᲜᲝ ᲫᲔᲚᲘᲫᲔᲛ**. — მასში პატარებისა და პედაგოგებისთვის ცალ-ცალკე სველი წერტილებია მოწყობილი, ცალკეა ბავშვებისთვის განკუთვნილი და სამზარეულოს მომსახურე პერსონალისთვის სამუშაო ლიფტები. ბაგა-ბაღი მთლიანად სხვადასხვა ასაკის 360 ბავშვზეა გათვლილი და დღეისთვის იგი მთლიანადაა დაკომპლექტებული. ახალი ბაგა-ბაღი დედაქალაქში ასევე პეკინის ქუჩის №23-ში, კიდევ რამდენიმე ადგილას გაიხსნა.

ᲚᲐᲚᲘ ᲮᲣᲜᲓᲐᲫᲔ,
ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

◎ „ᲓᲝᲖᲐ ᲥᲛᲜᲘᲡ ᲨᲮᲐᲛᲡ“...

ᲠᲘᲡᲘ ᲭᲐᲛᲐ ᲔᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲡ?

ᲡᲐᲚᲔᲭᲘ **რეზინი, კანფეტი, შოკოლადი, ჩიფსები, ჟელიბონი, მაიონეზით შეზავებული პროდუქცია, კრემიანი საკონდიტრო ნაწარმი, სოკოს ან დაკონსერვებული საკვები**— ეს იმ პროდუქციის არასრული ჩამონათვალია, რომლის შეტანაც სკოლებში მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავას ბრძანებით ახალი სასწავლო წლიდან აიკრძალება.

სამაგიეროდ, სკოლის ბუფეტებში მიზანშეწონილი იქნება ხილის, ბოსტნეულის, წყლის, ხილის წვენის, ხილის კომპოტის, კისელის, იოგურტის, ჩაის, კაკაოს შეტანა. ამ ბრძანების შესრულება სკოლებში გაკონტროლდება და ბრძანების დამრღვევ ბიზნესოპერატორებთან ხელშეკრულება გაუქმდება.

მინისტრის ბრძანებას უკვე მოჰყვა შეფასებები სოციალურ ქსელში. განსაკუთრებით, მხიარულ ხასიათზე დააყენა ჩვენი მოქალაქეები კვირაში ერთხელ სკოლებში ვაშლის დარიგების თემამ.

სურსათის ექსპერტი **ᲔᲗᲔᲠ ᲡᲐᲠᲯᲕᲔᲚᲐᲫᲔ** მინისტრის ამ ბრძანებას მიესალმება. For.ge-სთან საუბრისას ამბობს, რომ სკოლებში არ შეიძლება მოზარდები იკვებებოდნენ ჰოთ-დოგებით, კანფეტებით და ისეთი პროდუქციით, რაც მათ ჯანმრთელობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს.

როგორც წესი, სკოლებში უნდა შედიოდეს ისეთი პროდუქტი, რაც ჯანმრთელი კვების რაციონს განეკუთვნება. ეს შეიძლება იყოს პური, ყველი და კარაქი, ე.წ. ბუტერბროდი. არც გაზირებული სასმელებია რეკომენდებული, რაც არათუ მოზარდებისთვის, მოზრდილებისთვისაც არ შეიძლება.

„ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვსუნთქავთ ჟანგბადით და ამოვისუნთქავთ ნახშირორჟანგს, ჩვენი სისხლი იშორებს ნახშირორჟანგს და, თუ ჩვენ კიდევ პერიოდულად ვამატებთ ნახშირორჟანგს, მაშინ რა გამოდის? სისხლს ძირითადი ფუნქციის შესრულება უჭირს. ჰიპოკრატეს უთქვამს, „დოზა ქმნის შხამს“. ამიტომ ასეთი პროდუქცია არ უნდა იყოს ახალგაზრდებისთვის შეჩვევის საშუალება. პირიქით, მათ ჩვევაში უნდა გაუჯდეთ, რომ ჯანსაღი კვება სიცოცხლის აუცილებელი პირობაა. თუ შოკოლადი ნატურალურია, ეს ძალიან კარგია, მაგრამ იშვიათობა და ძვირი სიამოვნებაა.

თანაც, კარგ შოკოლადში არ უნდა იყოს შაქრის შემცველები, დანამატები, რათა ის ადვილად არ დადნეს, შეინახოს, საუბარია ე.წ. კონსერვანტებზე. თუმცა შეჩვევა, დამოკიდებულების შექმნა არაფრის მიმართ კარგი არ არის. ყავა არ არის მავნე, პირიქით, კარგიცაა, მაგრამ ერთადერთი ცუდი თვისება, რაც მას აქვს, ეს არის მიჩვევა. თითქოს გარედან არაფერს აფუჭებს, მაგრამ შიდა ენერგიას წვავს და ამით ვაზარმაცებთ ორგანიზმს. ამიტომ შეიძლება, ადამიანმა ცოტა ყავა მიიღოს, მაგრამ არა სისტემატურად, რათა ის არ გადავიდეს უარყოფით ფორმაში“, — აღნიშნა ეთერ სარჯველაძემ ჩვენთან საუბრისას.

რა დააშავეს კანფეტებმა და კრემიანმა ნამცხვრებმა, რომელთა შეტანაც სკოლებში იკრძალება? ამის შესახებ სპეციალისტი აცხადებს, რომ მონპასის ტიპის კანფეტებს რომ ეძახიან, ისინი ძირითადად გაკეთებულია შაქარყინულივით, მაგრამ, სინამდვილეში, მათი დამზადებისას გამოიყენება საღებავების ათასნაირი ფორმა, რომელიც ადამიანის, მით უმეტეს, ბავშვის ჯანმრთელობაზე კარგად არ მოქმედებს. საუბარია მწვანე, ყვითელ და უამრავი ფერის ხელოვნურ საღებავზე, რომელიც სულაც არ გახლავთ ლიმონში გაჯერებული ყვითელი საღებავი, ან კიდევ, მოცვისგან მიღებული მოწითალო ფერის საღებავი. ამიტომ ბავშვები ასეთი კანფეტებისგან დასაცავია.

For.ge დაინტერესდა, ვინ დაუშლის ბავშვს ე.წ. „აკრძალული პროდუქციის“ სკოლის გარეთ შეძენას, რაზეც ეთერ სარჯველაძემ განმარტა, რომ სკოლასთან ახლოს 50-100 მეტრის რადიუსში არ უნდა იყიდებოდეს ასეთი პროდუქტები. ჩვენ არ უნდა მივცეთ ბავშვებს პროვოცირების საშუალება, თორემ მოზარდს სახლში ყველაფრის გაკეთება შეუძლია.

რაც შეეხება კრემიან ნამცხვრებს, სურსათის ექსპერტი აცხადებს, რომ ნამცხვრები რომელიღაც საცხობიდან მიაქვთ და, წარმოებიდან სკოლამდე ჰიგიენურად ყველა წესი რომც დაიცვან, ის მაინც არ არის იმ ცხიმით გაკეთებული, რომელიც უვნებელია. მარგარინი ორგანიზმისთვის ცუდია. გამყარებული ზეთი ეს არის სწრაფი იზომერების წარმოქმნის საშუალება. ორგანიზმი მათ ვერ ცნობს და, რასაც ჩვენი ორგანიზმი ვერ ცნობს, ის ილექება სისხლში.

„გვინდა კი ასეთი კრემიანი ნამცხვარი? როგორც წესი, ნამცხვრებს კარაქზე იშვიათად ამზადებენ, რადგან კარაქის კრემი ადვილად დნობადია. ასევე, მივესალმები სკოლებში საღეჭი რეზინების აკრძალვას. სისტემატურად ღეჭვის პროცესი ნერწყვთწარმოქმნის პროცესს შლის. თანაც, მარტო საღეჭ რეზინზე არ არის ლაპარაკი, თვითონ ის რეზინიც რისგან შედგება, ზუსტად იმ დანამატებს იყენებენ, რაც ორგანიზმისთვის არ არის სასარგებლო. ჩიფსები, ანუ მაღალ ტემპერატურაზე დამუშავებული კარტოფილი, კანცეროგენური ნივთიერების წარმოქმნის რისკფაქტორია. ზეთი რომ დულს მაღალ ტემპერატურაზე, სახლშიც კი შეწვის დროს ტაფას სახურავი უნდა ეფაროს. ამასთან, ძალიან მაღალი ტემპერატურისას მიწვის პროცესი არ უნდა წარმოიქმნას, რადგან, რომ იწვის, ის უკვე სასარგებლო აღარ არის. ცხადია, საკვებით მოწამვლის ფაქტები სკოლებში იყო, მაგრამ ერთჯერადი მოწამვლა ისეთი ტრაგედია არ არის, როგორც მავნე საკვებით კვება ხუთჯერ, ათჯერ და ორგანიზმის საბოლოოდ დაავადება“, — აცხადებს ეთერ სარჯველაძე, რომლის თქმითაც, თავის დროზე სკოლებში ძეხვი და სოსისი ყველაზე მეტად შედიოდა. სინამდვილეში, ამ პროდუქციაში ხორცი ნაკლებად იყო და შემავსებლებით იყო შეზავებული.

— ვამბობდი, კი ბატონო, დაამატეთ პური, მაგრამ ხორცად ნუ გაასაღებთ და ნუ შეღებავთ, ის საღებავი ნივთიერებები მომაკვდინებელია. ევროპაში ასეთი რამ წამებით სიკვდილთანაა გათანაბრებული და დამნაშავე მეწარმეებს როცა იჭერენ, ისეთივე სასჯელს უსჯიან, როგორც წამებით სიკვდილში მხილებულებს. ეს საღებავი იწვევს სისხლის წითელი ბურთულაკების დაშლას. ასე რომ, სისხლის გათეთრების გამო მთელი ცხოვრება უნდა დაიტანჯოს ბავშვი.

ჩვენ დავინტერესდით, რამდენად სანდოა განათლების მინისტრ ჯეჯელავას მიერ სკოლებში დაშვებული ხილის კომპოტები, რომელთაც „ნატურალური“ აწერიათ, მაგრამ არავინ იცის, წარწერის მიღმა რა იმალება. ამის თაობაზე ეთერ სარჯველაძე აცხადებს, რომ ამ მხრივ გამოსწორდა მდგომარეობა, მაგრამ მეწარმეები იმდენად მიჩვეულნი იყვნენ გაყალბებას, შეიძლება, ახლაც მოხდეს დარღვევები. თუმცა კონტროლი გამკაცრებულია. მით უმეტეს, სკოლებში მკაცრი კონტროლი იქნება.

„აიღებენ სინჯებს, ერთხელ მივლენ სკოლებში, ორჯერ, ხუთჯერ და ნებისმიერ დარღვევაზე მხოლოდ 300-400 და 1000-ლარიანი ჯარიმა კი არ იქნება, არამედ განმეორებით შემთხვევაში, ეს გამოიწვევს კონკრეტული მეწარმის ბიზნესის შეწყვეტას და პასუხისგებას“.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

თავსატეხი – ისევ მაოხრებელი გზირი

ნაპოლეონი ელბაზე არ შეჩერებულა...

ჯერჯერობით უკრაინაში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, სააკაშვილის მიერ საზღვრის გადმოკვეთის გარდა, ის დოკუმენტები, რომელიც იუსტიციის სამინისტროში და გენერალურ პროკურატურაში მოგვივიდა ბატონ სააკაშვილთან დაკავშირებით, მოწმობს, რომ მის მიმართ საქართველოში სისხლის სამართლის საქმე წარმოებს. ეს ჯერ კიდევ არ არის მორიგი ეტაპი ექტრადიციის განხორციელებაში და ამაში იუსტიციის სამინისტრო არ მონაწილეობს. სააკაშვილი რომ უკვე იყოს გასამართლებული საქართველოში იმ მუხლებით, რომლებიც პრესკონფერენციაზე ჩემმა კოლეგამ, მინისტრის მოადგილემ სერგეი პეტუხოვმა დაასახელა, მაშინ ეს იუსტიციის სამინისტროს ნაწილობრივი პრეროგატივა იქნებოდა. უკრაინას შეუძლია, სააკაშვილი საქართველოს არ გადასცეს, სანამ ქართული სასამართლო გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

იმისათვის, რომ უკრაინაში მიხუინების და პოროშენკოების სამართლებრივ-პოლიტიკურ ისტორიაში გაერკვე, აუცილებელია, დაიწყო სულ თავიდან – სააკაშვილის უკრაინაში მიწვევიდან და ჯერ ამის მიზეზები დაადგინო, შემდეგ მოვლენათა შემდგომ განვითარებას მიჰყვე და ახალ-ახალ კითხვებს უპასუხო. ჩვენც ამ გზით წავიდეთ.

* * *

კითხვა პირველი: რაში დასჭირდა თავის დროზე პოროშენკოს სააკაშვილი?

ანალიტიკოსი **გლებ პავლოვსკი** ამბობს, რომ უკრაინული პროექტი „სააკაშვილი“ უცნაურად შეიძლება, მხოლოდ ერთი შეხედვით მოგეჩვენოს, რეალურად კი მას სრულიად გასაგები საფუძვლები ჰქონდა.

– შესაძლოა, პოროშენკოს ეს ისტორია (საკაშვილის ქვეყანაში მიწვევა) იმთავითვე არ უნდა წამოეწყო. ეს სხვა საკითხია. ერთი შეხედვით, სააკაშვილი საკმაოდ უცნაური პროექტი იყო, თუმცა თუ დავაკვირდებით, სრულიად გასაგები: ერთი მხრივ, უკრაინის პრეზიდენტი სხვადასხვა ჯგუფების რეალური ზეწოლის ქვეშ მოექცა, რომელთაც ჩვენში ოლიგარქებს უწოდებენ, მაგალითად, კოლომოისკისა და სხვების, რომლებიც მას მმართველობის შესაძლებლობას უზღუდავდნენ. მეორე მხრივ, უკრაინაში გამანადგურებელი ძალის არგუმენტია „პროორუსულობა“ და ვისი დანიშნვის მცდელობაც არ უნდა ჰქონოდა პოროშენკოს ოდესის ოლქში, რომლის მნიშვნელობა ყირიმის დაკარგვის შემდეგ გაასმაგდა, მას ყველა შემთხვევაში დაადანაშაულებდნენ იმაში, რომ ეს პროორუსული ნაბიჯი იყო, ეს კი, ცხადია, პოროშენკოს მდგომარეობას შეასუსტებდა. ამ ვითარებაში სააკაშვილი იდეალურ „მესამე მხარედ“ ეჩვენებოდა. ამდენად, რა თქმა უნდა, სააკაშვილი მიიწვიეს უკრაინაში, რათა გაეთამაშებინათ გარკვეულ პოლიტიკურ კომბინაციაში. აქ საკვანძო სიტყვა სწორედ „გათამაშებაა“ და ვფიქრობ, მკითხველი ამას მიხვდა.

* * *

კითხვა მეორე: რა წავიდა ცერად, რატომ გახდა პოროშენკოსთვის საჭირო სააკაშვილის თავიდან მოშორება?

აქვე ქვეკითხვა: რა ვერ ან არ შეასრულა სააკაშვილმა თავის დროზე პოროშენკოსთვის მიცემული დაპირებებიდან?

სააკაშვილი პოროშენკოს ღიად პირველად გასული წლის ნოემბერში დაუპირისპირდა. საქართველოს ექსპრეზიდენტი უკრაინის პრეზიდენტს კორუფციაში ადანაშაულებდა. მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს კი, როდესაც კონფლიქტმა პიკს მიაღწია, ყველამ მოვისმინეთ პეტრო პოროშენკოს მიერ ბრიუსელში გაკეთებული განცხადება, რომლის თანახმად, იგი **„ვერ ხვდებოდა, რას აკეთებდა მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში“:**

„არ ვიცი, რას აკეთებს ბატონი სააკაშვილი უკრაინაში. ის მოწვეული იყო იმისათვის, რომ დამხმარებოდა, მაგრამ ალბათ, ხედავთ შედეგს – მას მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია“, – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

თავის მხრივ, სააკაშვილს მანამდეც არაერთხელ განუცხადებია, რომ ოდესის ოლქში და მის ფარგლებს გარეთ დაგეგმილი უამრავი პროექტი სწორედ კორუმპირებულთა მხრიდან ხელის შეშლის გამო ვერ ხორციელდებოდა.

გლებ პავლოვსკი თვლის, რომ ღრმა კორუფციის არსებობა უკრაინაში სიახლეს არავისთვის წარმოადგენს და რომ სააკაშვილის მიმართ პოროშენკოს მიერ ზურგის შექცევაზე საუბრისას სულ სხვა – ისევ და ისევ პოლიტიკურ მიზეზებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ანალიტიკოსის აზრით, მთავარი დაპირებები, რომელიც პოროშენკომ სააკაშვილისგან მიიღო, სწორედ პოლიტიკური ხასიათის იყო და საქართველოს ექსპრეზიდენტმა ისინი პირნათლად შეასრულა:

– სააკაშვილმა ძალიან ბევრი გააკეთა პოროშენკოსთვის, უპირველესად – მისი პოლიტიკური მეტოქეების ჩამოშორების თვალსაზრისით. იგი დაეხმარა პრეზიდენტს, გამკლავებოდა იგორ კოლომოისკის, ამ უკანასკნელის გავლენას ოდესის საკვანძო რეგიონში; გამკლავებოდა იაცენიუკის მთავრობას. და ეს დიდი პოლიტიკური დამსახურებაა. მაგრამ პოლიტიკაში, როგორც ცნობილია, მადლიერება არ არსებობს, სწორედ ამაშია საქმე. მე პირადად მთლად კარგად არ მესმის, რას მოელოდა სააკაშვილი. მან პრეზიდენტის გაკრიტიკება დაიწყო, როცა მიხვდა, რომ რაღაც პრიზს არ მიიღებდა. მაგრამ რა უნდა ყოფილიყო ეს პრიზი, პირადად ჩემთვის ბოლომდე გასაგები არაა. შესაძლოა, მას პრემიერობა სურდა... არ ვიცი, მაგრამ თუ ასე იყო, ეს პრეზიდენტ პოროშენკოსთვის სრულიად შეუძლებელი იყო...

პოლიტიკურ ჭრილში განიხილავს პოროშენკო-სააკაშვილის დაპირისპირების რეალურ მიზეზებს უკრაინის შს მინისტრის მრჩეველი, სახელმწიფო რადის დეპუტატი **ანტონ გერაშჩენკოც:**

– უპირველესად, უნდა ვთქვა, რომ ორი წლის წინ სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის მინიჭება პეტრო პოროშენკოს შეცდომა იყო. როგორც ჩანს, მან ცუდად იცოდა, ვისთან იჭერდა საქმეს. რეალურად, მას (სააკაშვილს) არასოდეს გამოუჩენია მადლიერება იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც სიკეთე გაუკეთეს. თუმცა პოროშენკომ სააკაშვილი თავის პოლიტიკურ ოპონენტებთან – არსენ იაცენიუკთან, იგორ კოლომოისკისთან, არსენ ავაკოვთან ბრძოლაში დამრტყმელ ძალად გამოიყენა, თავად კი ხელებს იბანდა და განზე რჩებოდა. თუმცა დასრულდა იმით, რომ პოროშენკოს მთავარ ოპონენტად თავად სააკაშვილი იქცა! **იცოდა თუ არა პოროშენკომ იმის შესახებ, რომ სააკაშვილს საქართველოში კანონთან პრობლემები ჰქონდა? რაღა თქმა უნდა, იცოდა. და, რაღა თქმა უნდა, ეს საკმარისი იყო საიმისოდ, რომ მისთვის სტატუსი არ მიენიჭებინათ. თუმცა პოლიტიკურმა მიზანშეწონილობამ, როგორც ყოველთვის, გადაწონა. და ამის შედეგი, როგორც უკვე ვხედავთ, სავალალოა.**

* * *

მესამე კითხვა – როგორც პოლიტიკურად, ისე სამართლებრივად – სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევასა და, შესაბამისად, მისი საერთოდ მოქალაქეობის გარეშე დატოვებას უკავშირდება, რაც, სხვა თუ არაფერი, ევროკონვენციის დარღვევაა!

ანტონ გერაშჩენკო ამბობს, რომ სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევის ფორმალური საფუძვლები არსებობდა, კერძოდ, „სააკაშვილმა მართლაც არ მიაწოდა სრული ინფორმაცია მოქალაქეობის მიღებისას“ ამავე დროს, იგი იზიარებს მოსაზრებას, რომ ეს გადაწყვეტილებაც პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი:

– რა თქმა უნდა, პრეზიდენტმა პოროშენკომ, რომელსაც სააკაშვილი, გასული წლის ნოემბრიდან მოყოლებული, უმოწყალოდ ლანძღავდა, საბოლოოდ მიიღო ეს გადაწყვეტილება. სრულიად ნათელია, რომ მიზეზი პირადი დაპირისპირება იყო. პრეზიდენტი დაჰპირდა სააკაშვილს, რომ თუ ის პოლიტიკურ ოპონენტებთან გამკლავებაში დაეხმარებოდა, იქნებოდა ახალი არჩევნები, რომელთა შემდეგაც უკრაინის მინისტრთა კაბინეტი ფორმირდებოდა და მას სააკაშვილი ჩაუდგებოდა სათავეში.

პოლიტიკურ სარჩულს ხედავს ამ გადაწყვეტილებაში გლებ პავლოვსკიც:

– ეს გადაწყვეტილება (მოქალაქეობის ჩამორთმევა) იურიდიულად იყო გაფორმებული, რამდენად საფუძვლიანად – სპეციალისტების მიერ არის შესასწავლი, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის მინიჭებისას პრეზიდენტ პოროშენკოს და მის ადმინისტრაციას არ სცოდნოდათ, რომ მის მიმართ სისხლის სამართლებრივი წარმოება მიმდინარეობდა. ამდენად, ცხადია, აქ საქმე გვაქვს პოლიტიკურ თამაშთან.

და აი, 10 სექტემბერს მოქალაქეობაჩამორთმეული სააკაშვილი ვითომ საზღვრის „სენსაციური გარღვევით“ ქვეყანაში ბრუნდება.

* * *

მეოთხე კითხვა: მისი უკრაინაში დაბრუნების ფორმა უკავშირდება, კერძოდ, იმას, როგორ დაუშვეს სააკაშვილის მიერ თითქმის ორი კვირით ადრე გაფრთხილებულმა უკრაინელმა ძალოვნებმა მიშას მხარდამჭერების მიერ სახელმწიფო საზღვრის ჯგუფურად, ფაქტობრივად, ძალისმიერი გზით გადაკვეთა?

ანტონ გერაშჩენკოს აზრით, სააკაშვილმა და მისმა მხარდამჭერებმა ეს გარღვევა იმიტომ გაბედეს, რომ დანამდვილებით იცოდნენ – არავინ ესროდათ:

– „სააკაშვილის მთავარი ოცნება იყო, ნებისმიერ, თუნდაც გვამების ფასად შემოსულიყო უკრაინის ტერიტორიაზე. ის ხომ ზოგადად სისხლისღვრის სპეციალისტია, დაწყებული 2008 წლის სამხრეთ ოსეთის მოვლენებით, დამთავრებული ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა-დახურვითა და მისი პოლიტიკური ოპონენტების დემონსტრაციის ძალისმიერი მეთოდით დაშლა-დარბევის ბრძანების გაცემით. ამდენად, ვფიქრობ, ახლა მას იმის იმედი ჰქონდა, რომ იქნებოდა სისხლი. პოლიციასა და მესაზღვრეებს რომ სპეცსაშუალებები გამოეყენებინათ, ეს სწორედ ის იქნებოდა, რაც სააკაშვილს სურდა. ამიტომაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, ყველაფერი გაგვეკეთებინა, რათა არ დაგვეშვა ვითარების შემდგომი ესკალაცია. თუმცა იმის თქმა, უკრაინის ხელისუფლებამ იმთავითვე იცოდა, რომ სააკაშვილი საზღვრის გადაკვეთას შეძლებდაო, არასწორია. პირველ რიგში, ყოველ სასაზღვრო გადასასვლელზე სასაზღვრო სამსახურების თანამშრომლების საკმარისი რაოდენობის უზრუნველყოფა საკმაოდ რთული იყო(...). სამომავლოდ კანონის ფარგლებში ვიმოქმედებთ. გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, რომ დაწყებულია კრიმინალური წარმოება „წინასწარი განზრახვით პირთა ჯგუფის მიერ საზღვრის უკანონო კვეთის“ მუხლით. დადგინდება ყველა ის პირი, რომელმაც საზღვარი უკანონოდ გადაკვეთა და მათ მიმართ შესაბამის გადაწყვეტილებებს მივიღებთ!“

* * *

მეხუთე კითხვა: რატომ არის სააკაშვილი ამ დრომდე თავისუფალი?

უკრაინის შსს-ს კომუნიკაციების დეპარტამენტის დირექტორი **არტიომ შევჩენკო** აცხადებს, რომ ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორის დაკავებისთვის საკმარისი საფუძვლები არ არსებობს. ამავე დროს, შსს-ში თვლიან, რომ ამ დროისთვის სააკაშვილი უკრაინის ტერიტორიაზე უკანონოდ იმყოფება.

– ამ მომენტისთვის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურს გადაცემული აქვს ადმინისტრაციული პროტოკოლი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ, თუმცა სააკაშვილის დაკავებისთვის საკმარისი საფუძვლები არ არსებობდა. ისეთი პროცესუალური მოქმედება, როგორიც დაკავებაა, გარკვეულ პროცესუალურ ნიუანსებს ითვალისწინებს. ჩვენ გვაქვს უწყისები იმ პირთა შესახებ, რომელთა დაკავებაც შევძელით და რომელთა დაკავებასაც საჭიროდ ვთვლით, თუ ნაპოვნი იქნება სხვა უწყისები სხვა პირთა მიმართ, რომელიც საშუალებას იძლევა, კანონიერად განხორციელდეს პროცესუალური მოქმედება – დაკავება“, ამას აუცილებლად გავაკეთებთ! – დააზუსტა შევჩენკომ.

გლებ პავლოვსკის ვარაუდით კი, სააკაშვილის დაპატიმრებას არც სამომავლოდ უნდა ველოდოთ:

– არა მგონია, მისი დაჭერა გადაწყვიტონ. შესაძლოა, იპოვონ რაღაც ფორმა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მისი ძალისმიერი ტრანსპორტირებისთვის – ეს იდეალური ვარიანტი იქნებოდა პოროშენკოსთვის. თუმცა არ ვფიქრობ, რომ თავად სააკაშვილი საკუთარი თავის მსგავს ვითარებაში ჩაგდების შესაძლებლობას მისცემთ. ხოლო თუ გავითვალისწინებთ მის გვერდში ექსპრემიერ ტიმოშენკოს ყოფნას, ეს, ასე თუ ისე, სერიოზული დაზღვევაა.

რაც შეეხება სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირების პერსპექტივებს (2015 წელს უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ ქართულ მხარეს სააკაშვილის ექსტრადირებაზე უარი განუცხადა და ეს იმით ახსნა, რომ „სამშობლოში მისი პოლიტიკური ნიშნით დევნა ხორციელდება“, 2017 წლის სექტემბრის დასაწყისში კი უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ და იუსტიციის სამინისტრომ სააკაშვილის ექსტრადირების თაობაზე საქართველოს მთავარი პროკურატურის ახალი განაცხადი მიიღეს“), როგორც უკრაინის იუსტიციის მინისტრის მოადგილემ დენის ჩერნიშოვმა განმარტა, უკრაინას შეუძლია, სააკაშვილი საქართველოს არ გადასცეს მანამ, სანამ ქართული სასამართლო მის საქმეზე გადაწყვეტილებას არ მიიღებს:

– ჯერჯერობით უკრაინაში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, სააკაშვილის მიერ საზღვრის გადმოკვეთის გარდა, ის დოკუმენტები, რომელიც იუსტიციის სამინისტროში და გენერალურ პროკურატურაში მოგვივიდა ბატონ სააკაშვილთან დაკავშირებით, მოწმობს, რომ მის მიმართ საქართველოში სისხლის სამართლის საქმე წარმოებს. ეს ჯერ კიდევ არ არის მორიგი ეტაპი ექტრადიციის განხორციელებაში და ამაში იუსტიციის სამინისტრო არ მონაწილეობს. სააკაშვილი რომ უკვე იყოს გასამართლებული საქართველოში იმ მუხლებით, რომლებიც პრესკონფერენციაზე ჩემმა კოლეგამ, მინისტრის მოადგილემ **სერგეი პეტუხოვმა** დაასახელა, მაშინ ეს იუსტიციის სამინისტროს ნაწილობრივი პრეროგატივა იქნებოდა. უკრაინას შეუძლია, სააკაშვილი საქართველოს არ გადასცეს, სანამ ქართული სასამართლო გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

საინფორმაციო სააგენტო „აქცენტი“

(დასასრული მორიგ ნომერში)

შენებისთვის დაბადებული

ARIS ასეთი თქმულება: ჯერ კიდევ გაგანია მეორე მსოფლიო ომის დროს, ჯერ ისევ ულმობელი ხანძარი მძვინვარებდა, დიდმა ქართველმა, გენერალისიმუსმა იოსებ სტალინმა საქართველოს მაშინდელი თავკაცი კანდიდ ჩარკვიანი კრემლში დაიბარა და როგორც ჩვეოდა, დინჯად შესთავაზა, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა უნდა ავაშენოთ, ჰოდა, შესაბამისი ადგილი შეარჩიეთო. გავიდა დრო, თითქოს ყველას მიავიწყდა ეს ამბავი, მაგრამ სტალინმა ისევ დაიბარა კანდიდ ჩარკვიანი, იმ ხანად მტერს უკვე თავის ბუნაგისკენ მიერეკებოდნენ.

— აბა, რა ქენი, რას გვთავაზობ, ადგილი თუ შეარჩიეთო, — ამბობენ კანდიდი თავიდან კი დაიბნა, მაგრამ გონს მალე მოეგო, და თბილისთან ახლოს, ის ადგილი მიუთითა, დღეს რომ ყოფილი საავიაციო ქარხანაა...

— ცუდად გიძებნიათო, — ულვაშებში ჩაეღიმა ბელადს, — იქვე აღმოსავლეთით რუსთავის ნაქალაქარი რომაა, იქ აშენდებაო ახალი ქალაქი, მერე იქვე მყოფ ლავრენტი ბერიას მიუბრუნდა, — მშენებლები შეარჩიე, შენ ამ საქმეს მიხედეო.

შეიძლება დიდი ქართველის მოძულეთ ეს ამბავი ყელზე დაადგეთ, ჰოდა, მართლა მოგონილ ზღაპრად ჩათვალონ, მაგრამ მათდა საუბედუროდ, ეს სრული ისტორიული ჭეშმარიტებაა, იმ ხანად რუსთავის თაობაზე, ორმა, ჰა, დიდი-დიდი სამმა კაცმა თუ იცოდა, მათ შორის მონადირეებმა, ერთი მათგანი დიდი კონსტანტინე გამსახურდია გახლდათ, — ტურებზე და მელიებზე საკურდღლაოდ დავდიოდიო, წაიოხუნჯა ჩემთან, კოლხურ კოშკში სტუმრობისას.

იმ ხანად, ჯერ ისევ ომში, ბრძოლის ველზე გასაწირად გასაგზავნი ეგრეთწოდებული 26-იანელები საგულდაგულოდ შეარჩიეს, მაგარ-მაგარი, ტალიკტალიკი ბიჭები, უკვე რუსთავის ამღორძინებელი მშენებელ-მეტალურგი ჭაბუკები...

თვითონ ლავრენტი ბერიამ მშენებელთა თავკაცად სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ გამორჩეული ორგანიზატორი, შემდგომში იმდროინდელ საბჭოთა კავშირში აღიარებული მშენებელი ნესტორ გიორგაძე ჩაუყენა მშენებლებს სათავეში.

დღეს თუ რუსთავი რუსთავობს, სხვებთან ერთად დიდი ნესტორ გიორგაძის მადლითა და თავდაუდებელი ამაგითა და ღვაწლითაა მირონცხებული.

ჰოდა, მშენებლები იმადაც ფასობენ დღესაც.

მეც ერთ შესანიშნავ ინჟინერ-მშენებელზე მინდა გიამბოთ, დიახ, ეს კაცი ამ შესავალს იმსახურებს, მეტიც, ქვეყნისა და რუსთავისთვის ურთულეს წლებში, ის ხარაჩოდან არ ჩამოსულა.



ჭიათურელი ჭაბუკი მურად გოგატიშვილი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ჩამოვიდა მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქში, მუშაობდა და თან, წარმოებისგან მოუწყვეტლივ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაიწყო სწავლა.

იმ ხანად სამხედრო სავალდებულო სამსახურს ვერსად გაექცეოდი. მამულიშვილური ვალი უნდა მოგეხადა. ჭიათურელმა მხედარმა აქაც ივაჟკაცა, მოკლე დროში რიგითიდან კაპიტნის წოდებამდე ამაღლდა, პირველი ჯილდოები აქ გაჩნდა მის ოფიცრულ მუნდირზე.

მხედრული შემართებით დაბრუნებული ახალი ენერგიით შეუდგა მუშაობას, თან სწავლაც გააგრძელა. სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სპეციალობის მქონე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე წარმოების მართვის ორგანიზაციის ხელოვნებას დაეუფლა და საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრის განკარგულებით „ცენტრმეტალურგრემონტის“ მთავარ ინჟინრად დაინიშნა. ეს იმ დროს დიდი აღიარება იყო.

როცა ახალგაზრდას ცხოვრების ჟინი, შემართება, მებრძოლი სულისკვეთება თან დაჰყვება, მას წინ ვერავინ გადაეღობება. წინამორბედთაგან ისიც ისწავლა, რომ იყო მშენებელი, ეს არა მარტო უდიდესი პასუხისმგებლობაა, არამედ ღირსება და სახელი... მან ღირსებით იცხოვრა. მრავალშვილიან ოჯახში გაზრდილი ყოველთვის მებრძოლია, მას წინსვლის დაუოკებელი ჟინი თან დაჰყვება და წარმატებაც არ იგვიანებს. მურადი 6 დედ-მამიშვილთაგან თითქოს გამორჩეული არ ყოფილა, და მაინც ცხოვრებაში თავის წარმატებას იმ დიდ ბუდეს უმადლის, საიდანაც აფრინდა.

— როცა ბევრი და-ძმა გყავს, თავს უშიშრად გრძნობ, ასეა, მცენარეს, რაც უფრო ბევრი ტოტი აქვს, მით უფრო ძლიერი და უდრეკიაო, — წაიოხუნჯებს ხოლმე, რა თქმა უნდა, იმ ტოტთა სიმრავლეში თუ მის სიძლიერეში საკუთარი ოჯახია თავი და თავი. ოჯახი კი მართლაც ღირსეული ჰყავს. მეუღლე, ქალბატონი დალი ცინცაძე, ღვაწლმოსილი პედაგოგი, საკუთარ შვილებთან ერთად ასობით ქალიშვილისა და ჭაბუკის აღმზრდელი, ოჯახის დედაბოძია, ფუძეკერის სიმტკიცე... ოჯახის ტვირთი თანაბრად ცოლ-ქმრის მხრებზე გადადის. ამადაცაა მათი ტრადიციული ქართული ოჯახი გამორჩეული, სამაგალითო.

ამასობაში შვილებიც წამოეწივნენ კახა და ირაკლი, ამჟამად თვითონ არიან თავთავიანთი ოჯახების ბურჯები, ღირსეულ შვილებსაც უზრდიან მამულს. ისინიც მამის გზას ადგანან. ქვეყნის აღმშენებლობის სამსახურში დგანან, მამის ღირსეული სახელით ამაყობენ, თან ტოლს არ უდებენ საქმიანობაში.

მურად გოგატიშვილი ჯერ კიდევ 1999 წელს ჩაუდგა სათავეში რუსთავის ერთერთ წამყვან სამშენებლო ორგანიზაციას „მეტალურგრემონტს“, რომელიც იმ წლებში ამიერკავკასიაში უდიდეს, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის სამსახურში იდგა. დღეისთვის სამმართველო ფართოდაა ჩართული ახალ-ახალი ობიექტების მშენებლობაში, ამავდროულად იგი იმ წამყვანი ორგანიზაციის წინამძღოლია, ამჯერად სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და მისი მამოძრავებელი ღერძი. ის თვითონ ხელმძღვანელობს უკლებლივ ყველა სამშენებლო საქმეს, მის მიერ აგებული სახლები ყოველმხრივ გამორჩეულია და ორიგინალურ ელფერს მატებენ რუსთავს.

ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული რომ ბინადრობს ესეც კარგად უწყის, ამადაც იქვე ახლოს, თავისი შესანიშნავი ეზო-კარის, საკუთარი ხელით აგებულ ორსართულიან სახლთან, აიკრებს სავალს, ყოველ ცისმარეს და შეუდგება იაღლუჯის ფერდობზე მისი და მისი მეგობრების მიერ გაკვალულ ბილიკს, მზეს ასწრებული ამაყად გადმოხედავს მშობლიურ ქალაქს, მერე მთელი დღე ყოფნის იქაური სილაღე, სიმხნევე და ენერგია, ამიტომაც ექიმები და წამალი მისთვის უცხოა.

განუსაზღვრელია მურად გოგატიშვილის ამაგი მომავალი თაობის, მშენებელთა ახალ-ახალი კადრების აღზრდის, პროფესიონალთა დაოსტატების საქმეშიც, რომლებიც ახლა რუსთავში, საქართველოს ყველა კუთხეში მოღვაწეობენ.

— მთავარია, გიყვარდეს შენი საქმე და ვერავითარი წინაღობა ხელს ვერ შეგიშლის, — ასეთია მისი ცხოვრებისეული კრედო, ამიტომაა ღირსეული რუსთაველი, ამადაც აფასებენ და უყვართ თანაქალაქელებს, ეს ამაგდარი კაცი, უკვე ბაბუა და შვილიშვილების აღმზრდელიც, ამავდროულად მათი სიმრავლის მომლოდინე, მოიმედეა, ახალი საქართველოს შემომქმედი და მოჭირნახულე.

აი, ასეთი ამაგდარი, თავდადებული მშრომელი, შემართული, ქვეყნის მოამაგე ადამიანების მხრებზე დგას რუსთავი, საქართველოს აღმოსავლეთის კარიბჭე...

გივი ჯაახუა,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

◎ **შემოდგომა რომ დადგება...**

გაძვირდება თუ არა პროდუქცია წინასაარჩევნოდ?!

ელიან თუ არა პროდუქციის გაძვირებას წინასაარჩევნო პერიოდში და გამართლდება თუ არა პროგნოზი, რომ ლარის გაუფასურების კვალდაკვალ, მალე პროდუქტების ფასები 5-10%-ით მოიმატებს?! ამის შესახებ For.ge ეკონომისტებს ესაუბრა.

თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორს ვახტანგ ჭარაიას მიაჩნია, რომ ჩვენი ეროვნული ვალუტა საკმაოდ იმპულსურია და დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაზე, საგარეო ვაჭრობაზე, ინვესტიციებზე, ტურიზმზე, უამრავ ფაქტორზე. ამდენად, მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდზე პროდუქციის გაძვირების დაბრალება არ შეიძლება. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება, არჩევნები გვქონდეს, მაგრამ იმდენი ტურისტი და უცხოური ინვესტიცია შემოვიდეს, რომ არჩევნების ფაქტორი გაბათილდეს და წინასაარჩევნოდ ჭარბი ფულის ხარჯვა არაფერს დაემჩნეს.

„გასაგებია, რომ საარჩევნო წელია, მაკროეკონომიკური პარამეტრების ოდნავი შესუსტება შეიმჩნევა, რამდენიმე ათეული მილიონი დოლარით შემცირდა უცხოური ინვესტიციები, თუმცა მეორე მხრივ, იზრდება ჩვენი ექსპორტი. შესაბამისად, დიდი გაძვირება მოსალოდნელი არ არის. წლევანდელი სახელმწიფო ბიუჯეტის ნიშნული დადგენილია 2 ლარსა და 50 თეთრზე. თუ საშუალო წლიურ ჭრილში ეს ნიშნული უზრუნველყოფილი ვერ იქნა, სახელმწიფო ბიუჯეტს გარკვეული პრობლემები შეექმნება.

დღეს ხელისუფლება და ეროვნული ბანკი ერთობლივი ძალებით ცდილობენ, ამ 2.50 ნიშნულის ირგვლივ იტრიალონ. ზაფხულში ძალიან დიდი ფულადი ნაკადების შემოდინება შეიმჩნეოდა საქართველოში. ამას შეეძლო, ლარი გაემყარებინა, თუმცა ეროვნული ბანკი, პირიქით მოქმედებდა და ხელს უშლიდა ლარის გამყარებას. შემდგომში კი, როდესაც ტურიზმის სეზონი დასრულდება, არჩევნების სეზონი დადგება და პარალელურად დაიწყება ლარის გაუფასურების პერიოდი (რადგან ამ დროს ლარი გაცილებით მეტი იხარჯება), ეროვნული ბანკი ხელს აღარ შეუშლის ლარის გამყარებას; ანუ ის საპირისპირო სვლას იწყებს. კარგია თუ ცუდია, რომ 2.50-ია ლარი, ამაზე არავინ დავობს, სადავო ის არის, რომ ლარის გამყარება და უცებ გაუფასურება ხდება, ეს აფუჭებს ბაზარს და გაზრდის ფასებს. თუ ლარი მყარდება, ფასები ბაზარზე იგივე რჩება, ხოლო, თუ ლარი უფასურდება, ფასს ეგრევე ზევით სწევენ და ლარის მომდევნო გამყარებისას ფასებს უკან არ აგდებენ. ამიტომ სასურველია, ნიშნული 2.50 მიღწეულ იქნას, წინაადმდეგ შემთხვევაში, ბიუჯეტის შემოსავლებს პრობლემა შეექმნება, — აცხადებს ვახტანგ ჭარაია და შემოდგომის სეზონისთვის ადგილობრივი წარმოების პროდუქციის გაიაფების კვალდაკვალ, იმპორტირებული პროდუქციის მცირედით გაძვირებას არ გამორიცხავს“.

მისივე თქმით, თუ ლარი გაუფასურდება, ასი დოლარის

პროდუქციაში 240 ლარის ნაცვლად, 245 ან 247 ლარის გადახდა მოგვიწევს. ეს ნიშნავს, რომ იმპორტი ჩვენთვის არ გაიაფდება. იმპორტული პროდუქცია მაშინ გაიაფდება, თუკი მომწოდებელი მხარე გააიაფებს, მაგრამ ასეთი რამ იშვიათად ხდება. შესაბამისად, უფრო მეტის გადახდა მოგვიწევს, ვიდრე ვიხდით, მაგრამ კატასტროფული ზრდა ეს არ იქნება. უბრალოდ, თუკი ადამიანი იმპორტირებულ პროდუქციაზეა დამოკიდებული და მისი შემოსავალი 800 ლარია, შესაძლოა, უახლოეს პერიოდში 30-40 ლარით ნაკლები საქონელი შეიძინოს, ვიდრე აქამდე იძენდა.

ეკონომისტი **პაატა აროშიძე** აცხადებს, რომ ადგილობრივი ძველი პროდუქცია ამოიწურება და სადღაც სექტემბრის ბოლოსა და ოქტომბრის დასაწყისში შემოვა ახალი პროდუქცია, პირველ რიგში, ყურძენი, რაც ხილზე ფასებს გააიაფებს. ამ ეტაპზე კი პროდუქტებზე ფასების მცირეოდენი ზრდა გარდამავალი პერიოდით არის განპირობებული და ფასები გაზრდილი იქნება მანამ, სანამ მასობრივად არ შემოვა ახალი სასოფლო პროდუქცია. რაც შეეხება იმპორტირებულ პროდუქციას, მასზე გავლენას ლარის დევალვაცია და სხვა ფაქტორები უთუოდ მოახდენს.

„ზოგადად, ქართულ ბაზარს ახასიათებს, რომ, როცა რაღაცაზე ფასები გაიზრდება, ის ფასები ძნელად ბრუნდება საწყის ეტაპზე, რთულად იაფდება პროდუქცია, რადგან გამყიდველები ფიქრობენ, მყიდველები მაინც შეიძენენო. ასეთი სიტუაციაა მთელი საქართველოს მასშტაბით. ფასები ბაზრით რეგულირდება და სახელმწიფო ფასებს აღარ არეგულირებს. სახელმწიფო ფასებს რომ არეგულირებდეს, მაშინ მისთვის უკეთესი იქნებოდა, საარჩევნოდ ზედმეტი ხმების მისაღებად ყველაფერი გაეიაფებინა. პომიდორზე ან ყურძენზე ფასის ზრდა სახელმწიფო ინტერესებს ნაკლებად უკავშირდება. ჩვენთან ბაზარი არის, მოთხოვნა-მიწოდებაც არსებობს, მონოპოლიებიც შეიმჩნევა და ყველაფერი ეს გავლენას ახდენს საბაზრო ფასებზე. არჩევნებთან ამის დაკავშირება რთულია. არჩევნებს შეიძლება დავუკავშიროთ ბუნებრივ აირზე ფასი ან სხვა ფასები, რასაც სახელმწიფო მონოპოლიები კურირებენ“, — აცხადებს პაატა აროშიძე.

მანანა ნოზაძე

მოსახლეობის 80 პროცენტს ბანკის ვალი აქვს

საქართველოს მოსახლეობა თანდათან ეფლობა ვალის ჭაობში. ეს უკვე აღარ არის ზედაპირული დაკვირვების შედეგად გაკეთებული დასკვნა. საგანგაშო ტენდენციას უკვე საერთაშორისო ორგანიზაციებიც ადასტურებენ. ქვეყნის მოქალაქეთა 80 პროცენტს საფინანსო ინსტიტუტების ვალი აქვს.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **მიხეილ დუნდუა** ამბობს, რომ ყოველი 1000 მოსახლიდან 800-მდე ადამიანს ბანკის ვალი აქვს და ამ მაჩვენებლით იგი პირველ ადგილზეა.

— საქართველო ბანკის მოვალე მოსახლეობის მაჩვენებლით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. ეს არის მსოფლიოს ისტორიული მაქსიმუმი. არც ერთ წელს, არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა ის, რაც საქართველოსთან დაკავშირებით მსოფლიო სავალუტო ფონდის ანგარიშში დაფიქსირდა.

ჩვენ გვყავს მოქალაქეები, რომლებიც მკვეთრად არიან დამოკიდებული საბანკო სექტორზე. ყოველივე ეს საბოლოო ჯამში გვიქმნის დამაჯერებელ რწმენას, რომ აუცილებელია ქვეყანაში გაჩნდეს გრძელვადიანი რესურსი ლარში, რომ მოხდეს ინვესტირება ეკონომიკაში, — აცხადებს დუნდუა.

ფინანსისტები დიდი ხანია, საუბრობენ, რომ არ შეიძლება მოქალაქეს სესხი შემოსავლის დადასტურების გარეშე მისცე. ადვილად ხელმისაწვდომი ფული ადამიანისთვის თავისებური მახეა, რომელშიც ერთნაირად ებმევიან როგორც ახალგაზრდები, ასევე შედარებით ასაკოვანი მოქალაქეები.

„საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთი რეკომენდაციაა და აუცილებელია ეს ჩვენმა ეროვნულმა ბანკმა გაითვალისწინოს, როცა საცალო სესხს გასცემს კომერციული ბანკი, მისი გადახდის, დაფარვის გრაფიკი უნდა იყოს მოქალაქის შემოსავლის ნაწილი. ადამიანი თავისი შემოსავლის უმეტეს ნაწილს ბანკს არ უნდა უხდიდეს. ეროვნულ ვალუტაში სასურველია, რომ ეს იყოს 30%, ხოლო უცხოურ ვალუტაში — 20%. ამ რეკომენდაციის შესრულება ძალიან ყოვნდება. იმედი მაქვს, თვის ბოლოს შეასრულებს ამას ეროვნული ბანკი.

უცხოურ ვალუტაში სესხის გაცემა შეიზღუდა, რაც ძალიან კარგია, მაგრამ ეს რეკომენდაციაც უნდა შესრულდეს. არ შეიძლება მოქალაქეს სესხი მისი შემოსავლის დადასტურების გარეშე მიეწოდოს. მე ვერ ვხედავ ამ რეკომენდაციის შეუსრულებლობას, ხელს რა უშლის“, — განაცხადა მიხეილ დუნდუამ.

საქართველოს მოსახლეობა უკვე არის მონაწილე იმ სასესხო პირამიდისა, რომელიც მუდმივად მაღლა მიიწევს. ფინანსისტ **ირაკლი ბერძენაძის** აზრით, ერთადერთი გამოსავალი რჩება თავად ბანკების მხრიდან, სესხებზე რეგულაციის დაწესების ნაცვლად, მსესხებლის ასაკის განსაზღვრა, რაც არსებულ პრობლემას მეტ-ნაკლებად შეამცირებს.

„პირველ რიგში, საკითხავია, რამდენად ლოგიკურად იღებენ სამომხმარებლო სესხს მომხმარებლები. საქართველოს მოსახლეობა უკვე არის მონაწილე იმ სასესხო პირამიდისა, რომელიც მუდმივად მაღლა მიიწევს. თუ ბანკები არ შეწყვეტენ სესხის გაცემას, წარმოუდგენელია მისი შეჩერება.

ხალხი იღებს სესხს, რათა დაიკმაყოფილოს პირადი სურვილები, ესეც განპირობებულია იმით, რომ ჩვენი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ეს ხდება ყველა იმ განვითარებად ქვეყანაში, სადაც სოციალური ვითარება გაუარესებულია.

ჩემი აზრით, სამომხმარებლო სესხის გაცემის შეზღუდვა კი არა, მსესხებლის ასაკი უნდა განისაზღვროს მკაცრად და მაგალითად, 23 წლამდე არ უნდა გაიცემოდეს არც ერთ პირზე კრედიტი, როგორი სახით უზრუნველყოფილიც არ უნდა იყოს ის. ეს მდგომარეობას შედარებით გამოასწორებს“, — აღნიშნა ბერძენაძემ.

დანიელ ბექაური

5-თეთრიანმა გადასახადმა ბიზნესის გულისწყრომა გამოიწვია

ქათმის ხორცმა ბაზარზე გაძვირება დაიწყო. მართალია, ეს მომხმარებლისთვის დიდად შესამჩნევი არ არის, მაგრამ ბიზნესი მთავრობის ახალ გადაწყვეტილებაზე მწვავედ რეაგირებს. საქმე ეხება სურსათის უვნებლობის ახალ ტარიფებს, რომელიც მეფრინველეობის ფერმებს აგვისტოს ბოლოს დაუდგინდათ. მწარმოებლებმა პროდუქციის უვნებლობის სერტიფიკატის, „ფორმა 2“-ის აღებისთვის სურსათის ეროვნულ სააგენტოს თითოეულ ქათამზე 5 თეთრი უნდა გადაუხადონ.

ცვლილებას ქათმის ადგილობრივი მწარმოებლები აპროტესტებენ და ამბობენ, რომ ის პროდუქციის გაძვირებას გამოიწვევს. მეფრინველეობის ხორცპროდუქტების უმსხვილესი მწარმოებელი კომპანია „ჩირინას“ დირექტორი **რევაზ ვაშაკიძე** ამბობს, რომ მათთვის საერთოდ გაუგებარია, რატომ უწესებს მთავრობა ამ გადასახადს. ვაშაკიძის თქმით, მათ აქვთ მიღებული ISO და HACCP სერტიფიკატები და აკმაყოფილებენ ევროკავშირის ყველა ნორმებსა და მოთხოვნებს.

„უნდა ვუხადოთ სურსათის სააგენტოს 5 თეთრი. ეს დაახლოებით 600 000 ლარია წლიურად. ამ ფორმა 2-ის აუცილებლობა საერთოდ არ არის. ჩვენ ვართ აღიარებული სახელმწიფოს მიერ და გაუგებარია რაში ვიხდით თანხას“, — ამბობს ვაშაკიძე.

ბიზნესმენები აცხადებენ, რომ პროდუქცია აუცილებლად გაძვირდება. საქართველოს მეფრინველეთა ასოციაციის ხელმძღვანელის **ზურაბ უჩუმბეგაშვილის** თქმით, ეს სავსებით ლოგიკურია:

„აღნიშნული 5 თეთრი კომპანიების მოგებიდან იხარჯება და ეს ხარჯი რომ დაფარონ, იძულებულნი არიან, პროდუქცია სულ ცოტა, 10 თეთრით მაინც გააძვირონ. დადგენილება 24 აგვისტოს შევიდა ძალაში, თანაც, ყოველგვარი შეთანხმებისა და კონსულტაციების გარეშე. ამის შესახებ 23 აგვისტოს სრულიად მოულოდნელად შეატყობინეს მეწარმეებს და გადასახადი ისე დაუმატეს, რომ გონზე მოსვლაც ვერ მოასწრეს.

რამდენიმე ფაბრიკამ უკვე გააძვირა თავისი პროდუქცია, ზოგმა - 10, ხოლო ზოგმა — 20 თეთრით. ჩვენ არა გვაქვს იმისფუფუნება, რომ გაზრდილი გადასახადი პროდუქციის ფასზე არ აისახოს, ამიტომ პროდუქციას სხვა კომპანიებიც გააძვირებენ.

„ფორმა 2“ ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ფასიანი არ იყო, ახლა კი ფასიანი გახდა. რატომ? ამაზე პასუხი გვაინტერესებს და ვერ ვიღებთ. ალბათ ამ თანხას ბიუჯეტში გაუშვებენ, მაგრამ რასაც ვიხდიდით, არ იყო საკმარისი? საქართველოში ყოველ წელიწადს დაახლოებით 4 მილიონი ფრთა ფრინველი იკვლება და 5 თეთრზე რომ ვიანგარიშოთ, ამ გზით ბიუჯეტში 1 მილიონამდე ლარი შევა. ეს 1 მილიონი სად წავა, ეს არის საკითხავი“, — განუცხადა „ბიპიენს“ უჩუმბეგაშვილმა.

მისი თქმით, კარგ დღეში არც იმპორტიორები არიან. საქმე ის არის, რომ როცა იმპორტიორს საქართველოში ცხოველური წარმოშობის პროდუქტი შემოაქვს, მისი ინსპექტირება გარკვეული თანხა ღირს. აქამდე ეს 2500 დოლარი იყო, ახლა კი, 3000 დოლარამდე ავიდა. **„ეჭვი გვაქვს, რომ ამ დარგის შეზღუდვა მიზანმიმართული პროცესია — ვიღაცამ დაინახა, რომ მეფრინველეობის დარგი სწორი გზით ვითარდება და ხელს უშლის“,** — ამბობს უჩუმბეგაშვილი.

სულ სხვაგვარად უყურებს საკითხს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტი, სადაც მიაჩნიათ, რომ ადგილობრივი პროდუქტი სამომხმარებლო ბაზარზე არ გაძვირდება. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **პაატა ძურდაძე** მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ცხოველთა სასაკლაოებში სახელმწიფოს წარმომადგენელია. გამონაკლისი არც საქართველოა. ყველგან არის ვეტექიმი, რომელიც დაკვლის წინა და შემდგომ შემოწმებას ახორციელებს. ეს კი ფასიანი მომსახურებაა.

„ეს ყველაფერი ხდება მიზანმიმართულად იმიტომ, რომ დავიცვათ ჩვენი მოსახლეობის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ჩვენ უფრო ვაფართოებთ კონტროლს და ამან მოიცვა ფრინველთა სასაკლაოებიც. ასეთივე რამ მოხდა ცხოველთა სასაკლაოებში, ამას კი საქონლის ხორცის გაძვირება არ გამოუწვევია“, — აცხადებს ქურდაძე.

მისი მტკიცებით, სურსათის ეროვნულ სააგენტოს ბიზნეს ოპერატორებთან ხშირი კონტაქტი აქვს და ეს გადაწყვეტილება მათთვის სიურპრიზი ნამდვილად არ ყოფილა.

ბექა დანელია

ქართული დაფნა ქუვეითში, კორეაში და ჰონგ-კონგში იყიდება

ქართული პროდუქტის საექსპორტო წარმატება. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულების მხარდაჭერით, კომპანიამ „ქართული დაფნა“ საკუთარი პროდუქცია ქუვეითში, კორეაში და ჰონგ-კონგში ექსპორტზე გაიტანა.

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ორგანიზებით ექსპორტიორმა კომპანიამ „ქართული დაფნა“ საკვები და სასმელი პროდუქტების წამყვან გამოფენებზე - GULFOOD 2017 და HOFEX 2017 მიიღო მონაწილეობა, სადაც წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად კიდევ რამდენიმე ახალი საექსპორტო ბაზრის მოძიება და წარმატებული ხელშეკრულებების გაფორმება შეძლო.

ქართული დაფნის მწარმოებელი კომპანია 2014 წელს USAID-ისა და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ფინანსური ხელშეწყობით დაარსდა, კომპანია აღჭურვილია ენერგოეფექტური მაღალი წარმადობის საშრობი დანადგარებით, უახლესი ტექნოლოგიით დამზადებული დასუფთავების, დახარისხების და შესაფუთი მანქანებით და მაღალ დონეზე აღჭურვილი ლაბორატორიით.

აღსანიშნავია, რომ სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ პერმანენტულად უწევს ორგანიზებას ქართველი ექსპორტიორი კომპანიების სავაჭრო მისიებსა და გამოფენებში მონაწილეობას, რაც ხელს უწყობს ქართული პროდუქციის პოპულარიზაციას, ამასთანავე, სათანადო პლატფორმას ქმნის ახალი სავაჭრო პარტნიორების შეძენისა და კონტაქტების დამყარების კუთხით.

◎ სიტყვა მეგობარზე

საქართველო გულით დაჰქონდა...

სევერიან ცაგარეიშვილის მოსაგონარი

ამ წერილის დაწერა ჩემთვის მეტად სასტიო და სასიამოვნო მოვალეობაა, რადგან ამ წერილით ვიხსენებ საოცარ პიროვნებას, რომელიც მიყვარდა, ვისი ადამიანური თვისებებიც მომწონდა, მაკვირვებდა და მახარებდა, რომ ასეთი ჯიში ქართველობაში არ გადაგვარებულა.

დღეს ზუსტად თვეა, რაც მოსკოვის ქართველობამ მიწას მივაბარეთ სევერიან ალექსანდრეს ძე ცაგარეიშვილი — გამოჩენილი მეცნიერი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, წარმატებული ფირმის დამაარსებელი და ა. შ. მაგრამ ბატონ სევერიანის მოღვაწეობაში მთავარი მაინც ის გახლდათ, რომ ურთულეს ისტორიულ პერიოდში მან დააფუძნა და სათავეში ჩაუდგა „ქართველთა საზოგადოებას რუსეთში“.

ტყუპი ძმები: ნიკოლოზ (მარცხნივ) და სევერიან ცაგარეიშვილები

ორ სახელმწიფოს შუა ჩტყდა ხიდი, საქართველოდან გადმოხვეწილი ათასობით ხიზანი მოსკოვს შეეკედლა. მათ იმედის მომცემი სჭირდებოდათ — გულშემატკივარი, ქომაგი, დამხმარე. ამ უმძიმეს ჭაპანს ვერავინ ვერ გასწევდა ისეთი მონდომებითა და გულმოდგინებით, როგორც ამას ახერხებდა ჩვენი საყვარელი სევერიანი. იგი თითქოს ასეთი საქმისთვის იყო გაჩენილი. ბუნებამ უხვად დააჯილდოვა ეს კაცი უშუალობით, სიკეთით, ხელგაშლილობით, იუმორით. სევერიან ცაგარეიშვილი არ გახლდათ ჯიბესქელი ბიზნესმენი, მას არ გააჩნდა მილიონები, მაგრამ ჰქონდა ოქროს გული და ადამიანობა: გაჭირვებულსა და გამწარებულს ხელსაც გაუწვდიდა, დაეხმარებოდა, გაამხნევებდა და გულიანად გააცინებდა კიდეც...

ჩატეხილი ხიდის სანაცვლოდ ბატონი სევერიანი გულმოდგინედ ეძებდა კულტურულ ბილიკებს, რათა ორ მეგობრულ მართლმადიდებლურ ერს არ დაეკარგათ უღრანში ერთმანეთი. ამ საქმის ასაწყობად მას უტყუარი კომპასი და ფარანი ჰქონდა. სევერიანს არაერთხელ უთქვამს: მამაჩემმა მიანდერძაო — უმაღლეს და დახვეწილ ადამიანობას რუსულ ინტელიგენციაში მიაგნებო... მამამისი — ალექსანდრე ცაგარეიშვილი სასწავლებლად მოსკოვს გაემგზავრა იმის იმედით, რომ სადმე ლევ ტოლსტოის ნახავდა. შემდეგ ორჯერ იასნაიაში ჩასულა და შეხვედრია კიდეც დიდ მწერალს. ლევ ტოლსტოი ის უტყუარი კომპასი და ფარანია, რაც ანდერძად ერგო ბატონ სევერიანს და რითაც იგი ხელმძღვანელობდა თავის კულტურულ მოღვაწეობაში. მან წამაკითხა მამამისის მოგონებები ლევ ტოლსტოიზე, ეს მოგონებები მე ვთარგმნე და ალმანახ „Ясная поляна“-ს რედაქტორს ვლადიმერ ტოლსტოის გადავეცი. ალმანახის რედაქციამ თადარიგი დაიჭირა, ტოლსტოის დღიური გადაშალა და დარწმუნდა: ამა და ამ დღეს ახალგაზრდა ქართველი სტუდენტი მეწვია და ვესაუბრეო...

ქართველი სტუდენტის მოგონებები დაიბეჭდა.

მე გუშინწინ დავბრუნდი იასნაია პოლიანადან და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ რა ძლიერ ფესვებზე იყო დამყნილი ჩვენი საყვარელი სევერიანის სიკეთე და ადამიანობა. იგი თითქოს ხელმძღვანელობდა ბრძენის მოწოდებით: „უფრო და უფრო შორს გააბით ობობასავით სიყვარულის ქსელი“-ო.

მაგრამ ამისთვის რამოდენა სიყვარულია საჭირო!

იმათ შორის ვისაც ცხოვრების გზაზე შევხვედრილვარ, არავის არ ჰქონია ამ თვისებების იმხელა მარაგი, რაც უფალმა ჩვენს საყვარელ სევერიანს არგუნა.

აქვე დავძენ, რომ არ იქნება გამართლებული ამ კაცის მეტად ტკბილი პორტრეტი. არაერთხელ ვიყავი მოწმე, თუ რა მტკიცედ და უტეხად, სიბრაზითა და სარკაზმით იცავდა სევერიანი ქართულ პოზიციას რუს ჩინოვნიკებთან და პოლიტიკოსებთან ცხარე კამათში: ერთ-ერთ მოსკოვის გაზეთში იმის გვარს წავაწყდით ქართველ ექსტრემისტ ნაციონალთა სიაში! მაგრამ მაშინ უკვე საძაგელი ალცჰაიმერისგან ცხოვრებიდან გათიშული იყო და ასეთ სისულელეზე თავისებურად ვერ გადაიხარხარებდა.

ჩვენი საყვარელი სევერიანის პანაშვიდის დასასრულს მღვდელმა მოგვმართა დამსწრეთ: „ორმოცი დღე მისი სული ჩვენთანაა. ილოცეთ, რათა, როცა ორმოცის დასასრულს სამოთხის კარს მიადგება, წმინდა პეტრე შეისმენს თქვენს ლოცვასო“.

ღმერთმანი, თუ არიან ისეთები, ვისაც არ სჭირდება დახმარება სამოთხის კარის გასაღებად, იმათ შორის სევერიან ცაგარეიშვილიცაა, ჩვენი საყვარელი სევერიანი. ასეთებს მეტად გამოცდილი წმინდა პეტრე შორიდანვე სცნობს და გამოჩენისთანავე ააჟღარუნებს გასაღებების აცმას.

ძვირფასო მეგობარო! ერისკაცო! შენი მოვალეობა ერის წინაშე პირნათლად შეასრულე და აწი ყველაფრისგან თავისფალი ხარ. არც მოსკოვის ქართველობა, არც საქართველო შენ არ დაგივიწყებენ.

ალექსანდრე ებანოიძე,
ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ“-ის
მთავარი რედაქტორი
15.09.2017. მოსკოვი

რედაქციისგან: ალექსანდრე ებანოიძე ცნობილი რუსულენოვანი მწერალია, ბოლო ათეული წელია, იგი ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ“-ის მთავარი რედაქტორია. ეს წერილი თავის მოსკოველ ქართველ მეგობარზე მან ქართულად დაწერილი გამოუგზავნა ჩვენს რედაქციას.

დიდი დანაკლისი

გარდაიცვალა ქართველი ტენორი ზურაბ სოტკილავა



80 წლის ასაკში მოსკოვში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ტენორი ზურაბ სოტკილავა. მოსკოვის დიდი თეატრის დირექტორმა ვლადიმირ ურინმა გულისტკივილით განაცხადა, რომ ზურაბ სოტკილავა ბოლომდე ებრძოდა მძიმე დაავადებას. ზურაბ სოტკილავა 1937 წლის 12 მარტს სოხუმში დაიბადა. 1965 წლიდან, თბილისის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, იყო ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, 1974 წლიდან კი მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი. სააგენტო ინტერპრესნიუსი მომღერლის ახლობლებზე დაყრდნობით იუწყება, რომ ზურაბ სოტკილავას მოსკოვიდან თბილისში რამდენიმე დღეში ჩამოასვენებენ.

აჭარას მილიონზე მეტი უცხოელი ვიზიტორი სტუმრობდა

აჭარაში ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია. მიმდინარე წლის, იანვარ-აგვისტოში რეგიონს ყველა ადმინისტრაციული საზღვრის გავლით 1 021 996 უცხოელი ვიზიტორი სტუმრობდა. აქედან, ნახევარ მილიონზე მეტი ვიზიტორი რეგიონს მხოლოდ ზაფხულის ტურისტულ სეზონზე ეწვია, რაც 25%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდს.

ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია პოპულარულ ტურისტულ ადგილებშიც. ბათუმის ბოტანიკური ბაღი ვიზიტორების სიმრავლის მხრივ გამორჩეულია. მას მხოლოდ ივნის-აგვისტოში, გასული წლის ზაფხულთან შედარებით 30%-ით მეტი, 160 259 ტურისტი სტუმრობდა. აქედან განსაკუთრებით ბევრი 73 523 სტუმარი კი ბაღმა აგვისტოში მიიღო.

სტუმრების სიმრავლე შეინიშნებოდა ბათუმის დელფინარიუმშიც. რეგიონში ტურისტებისთვის საყვარელ ადგილს მხოლოდ ზაფხულში 143 885 (+14%) ვიზიტორი სტუმრობდა. ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებით დატვირთული იყო აგვისტო — 71 853 ვიზიტორი. ზაფხულში 22%-ით მეტი ვიზიტორი სტუმრობდა გონიო-აფსაროსის ციხესაც, რომელიც რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კულტურულ-ისტორიულ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. ივნის-აგვისტოში ციხე-მუზეუმში არსებულ კულტურულ მემკვიდრეობას 49 886 ვიზიტორი გაეცნო. ბათუმის საბაგიროც იმ ტურისტულ ადგილებს მიეკუთვნება, სადაც ვიზიტორების ზრდა დაფიქსირდა. ივნის-აგვისტოში, საბაგიროს სერვისით 19%-ით მეტმა 190 343-მა ვიზიტორმა ისარგებლა.

მიმდინარე წლის ზაფხულში 28 047 (+20%) ვიზიტორი სტუმრობდა მტირალას ეროვნულ პარკს, რომელიც ყველაზე მეტი პოპულარობით უცხოელ ტურისტებს შორის სარგებლობს. მტირალას ეროვნული პარკი, რომელიც ბათუმიდან 1 საათის სავალზე მდებარეობს, თავგადასავლებისა და ლაშქრობის მოყვარულებისთვის საუკეთესო ადგილია. პარკი ვიზიტორებს გარდა ულამაზეს ბუნებაში მოგზაურობისა, ზიპლაინის სერვისსა და საკემპინგე მომსახურებას სთავაზობს.

შესაძლოა, გიორგი სიგუას პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსი ლევან გამყრელიძე არ გამორიცხავს, რომ GEM fest-თან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების ფარგლებში, მისი დამფუძნებლის გიორგი სიგუას პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

„თუ დანაშაული იქნება არაფერს გამოვრიცხავ. ჯერჯერობით ვიძიებთ. თუმცა ამ ეტაპზე ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემი პირი გამოკვეთილი არ არის. დაველოდოთ გამოძიების შედეგებს და ამის შემდეგ გაირკვევა პასუხისგებაში მისაცემი პირის, ან პირების ვინაობა. ვიდრე მტკიცებულება არ იქნება, ბრალდებულებზე წინასწარ პროგნოზირება შეუძლებელია, რათა დაცული იყოს მათი უდანაშაულობის პრეზუმფცია.

საქმეზე გამოკითხულია ძალიან ბევრი ადამიანი, როგორც ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები, ისე სხვები, ადამიანები, რომლებიც იქ იყვნენ დასაქმებული და ადამიანები, რომლებსაც ჰქონდათ ბიზნესები, სულ, ალბათ, 100-მდე პირი. გამოკითხვები კვლავ გრძელდება. ადამიანების ძალიან დიდი რაოდენობაა და ამ ყველაფერს გამოძიება და დრო სჭირდება. მიმდინარეობს დოკუმენტაციის შესწავლა, ანუ, რა თანხები შემოვიდა და რა გაიცა. გამოსაკითხი არიან ასევე ადამიანები, რომლებიც იყვნენ კონტრაქტორები, რომლებმაც ჩამოიტანეს აპარატურა, დაამონტაჟეს და ა.შ. ყველა მიმართულებით მიდის გამოძიება“, — განაცხადა გამყრელიძემ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ მეტროში მომხდარ აფეთქებას ტერორისტული აქტის კვალიფიკაცია მიენიჭა. საქმის გამოძიებაში კონტრტერორისტული პოლიციის თანამშრომლები ჩაერთვნენ. როგორც ლონდონის მერმა სადიქ ხანმა აღნიშნა, მეტროპოლიტენის პოლიციამ დაადასტურა, რომ „პარსონს-გრინის“ სადგურზე მატარებელში მომხდარი აფეთქება ტერორისტული აქტი იყო.

„ჩვენი ქალაქი კატეგორიულად გმობს იმ საშინელ ადამიანებს, რომლებიც ტერორს მიმართავენ, რათა ზიანი მოგვაყენონ და ჩვენი ცხოვრების წესი გაანადგურონ. ლონდონმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ არ შეუშინდება ტერორს. მე მჭიდრო კავშირში ვიმყოფები მეტროპოლიტენის პოლიციასთან, ლონდონის სატრანსპორტო სამსახურთან, მთავრობასთან და სხვა სამსახურებთან, რომლებიც ადგილზე მუშაობენ და შემთხვევას იძიებენ. მოვუწოდებ ყველა ლონდონელს, შეინარჩუნონ სიმშვიდე“, — აცხადებს **ᲡᲐᲓᲘᲥ ᲮᲐᲜᲘᲡᲘ**.

აღსანიშნავია, რომ მეტროსადგურ „პარსონს-გრინზე“ აფეთქებას წინ უსწრებდა ტერაქტი პარიზში. ცივი იარაღით შეიარაღებული უცნობი კაცი პარიზში სამხედრო მოსამსახურეს დაესხა თავს. გარდა ამისა, 13 სექტემბერს ქალაქ ტულუზაში გამვლელებსა და პოლიციელებს შეიარაღებული კაცი დაესხა თავს, რის შედეგად, სულ მცირე, 8 ადამიანი დაშავდა.

ასეთია ბოლო დღეების სტატისტიკა. ლონდონში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით, დიდ ბრიტანეთში საქართველოს საელჩოში საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებით შეტყობინება არ შესულა. გარდა ამისა, საქართველო ერთ-ერთ უსაფრთხო ქვეყნად რჩება, რასაც ვერ ვიტყვით მეზობელ ქვეყნებზე. ამას ადასტურებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მორიგი განცხადება. უწყება საკუთარ მოსახლეობას მსოფლიოში არსებული ტერორისტული საფრთხის შესახებ აფრთხილებს და განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენისკენ მოუწოდებს.

სახელმწიფო დეპარტამენტი ამერიკელებს ურჩევს, რომელიმე ქვეყანაში გამგზავრებამდე, სახელმწიფო დეპარტამენტის ვებ-გვერდის დახმარებით, კარგად გაეცნონ ინფორმაციას სასურველი ქვეყნის შესახებ და ჩაეწერონ სპეციალურ პროგრამაში, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო დეპარტამენტს მათი გადაადგილების შესახებ ინფორმაცია მუდმივად ექნება.

როგორც სახელმწიფო დეპარტამენტში აღნიშნავენ,მოქალაქეებმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ ისეთ ადგილებში მოხვედრისას როგორიცაა, დემონსტრაციები, სასტუმროები, სკოლები, პარკები, რელიგიური დაწესებულების მიმდებარე ტერიტორია და აეროპორტი.იმ ქვეყნებს შორის, სადაც სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადების მიხედვით მოგზაურობა საშიშია, მოხვდნენ უკრაინა და თურქეთიც.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია ამბობს, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნა არის რეალისტური, რადგან, ამ განცხადებას უკვე მოჰყვა ტერაქტები პარიზსა და ლონდონში. რაც შეეხება იმას, რომ საქართველო არ არის მოწყვლად ქვეყნებს შორის, მისი თქმით, ეს არ გვაძლევს მოდუნების საშუალებას, ვინაიდან, მოწყვლად ქვეყნებს შორის აღმოჩნდნენ უკრაინა და თურქეთი.

თურქეთი, რომელიც მოსაზღვრე სახელმწიფოა და უკრაინა, რომელიც საზღვაო აკვატორიით გვესაზღვრება. მისი თქმით, საქართველოს საზღვაო აკვატორია არის დაუცველი, ეს არის ღია კარიპჭე. შესაბამისად, როგორც მაისაია ამბობს, მეზობელი ქვეყნები, რომლებიც ტერორისტებისთვის მოწყვლადი ქვეყანა გახდა, საქართველოს მომგებიან მდგომარეობაში არ აყენებს.

— თურქეთი გასაგებია, მაგრამ უკრაინა ტუილად არ გაჩნდებოდა ამ სიაში. როგორც ჩანს, ამერიკელები ინფორმირებული არიან იმასთან დაკავშირებით, რომ უკრაინა შეიძლება გახდეს ტერორიზმის ობიექტი. საუბარია ჯიჰადისტურ ტერორზე, რომელიც დაკავშირებულია ალქაიდასთან და ისლამურ სახალიფოსთან. როგორც ჩანს, უკრაინა გახდება სატრანზიტო დერეფანი. კერძოდ, სირიიდან და ერაყიდან გამოქცეული დაიშის წევრების თავშესაფარი გახდება.

დღეს უკრაინა საკმაოდ არასტაბილური სახელმწიფოა, რაც ხელსაყრელია ტერორისტებისთვის. არა მარტო აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ ნაწილშიც გაიხსნა ფრონტის ხაზი. უკრაინა ვერ აკონტროლებს საზღვრებს. მორღვეულია საზღვრები და განსაკუთრებით დასავლეთის მიმართულება, რაც ერთ-ერთ დიდ თავის ტკივილს წარმოადგენს უკრაინისთვის, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას **ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲛᲐᲘᲡᲐᲘᲐ**.

სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელი, **მამუკა არეშიძე** თვლის, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნა არის კონიუნქტურული, რადგან, ტერორიზმის საფრთხის მატარებელი არის ძველი ევროპის დედაქალაქები. მისი თქმით, კონიუნქტურულია იმიტომაც, რომ ის, რაც დღეს უკრაინასა და თურქეთში ხდება, კერძოდ კი, ხელისუფლების ქმედებები მიუღებელია ვაშინგტონისთვის. აქედან გამომდინარე, როგორც არეშიძე ამბობს, ეს გარკვეული გზავნილია როგორც კიევისთვის, ასევე ანკარისთვის.

— ეს არის გზავნილი, რომ ჩვენ უკმაყოფილო ვართ იმითი, რაც ხდება თქვენს ქვეყანაში. მაგალითად, იცით, რომ მიხეილ სააკაშვილის აქტივობები გარანტირებულია დასავლეთის და, პირველ რიგში, ვაშინგტონის მხარდაჭერით. ვაშინგტონს აქვს მიზეზი, უკმაყოფილო იყოს კიევის ხელისუფლებით. ვერაფრით ვერ მოახერხეს პოროშენკოს მიდგომების შეცვლა.

ქვეყნის პრეზიდენტს, რომელიც ეომება რუსეთს, ბიზნესი აქვს რუსეთის ტერიტორიაზე. თანაც, მოსკოვი აბსოლუტურად გააზრებულად არ ზღუდავს ამ ქარხნის მუშაობას. პოროშენკო თავის ბიზნეს-ინტერესებს ამჯობინებს თავის ქვეყნის კეთილდღეობას. ვერ მოეშვა ოლიგარქებთან ჩახუტებას და ბიზნესს, რაც ამერიკელებს ძალიან არ მოსწონთ და შესაბამისად, იქცევიან კიდეც, — ამბობს **ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲐᲠᲔᲨᲘᲫᲔ*.

მისი თქმით, გარკვეული მანდატი მისცეს სააკაშვილს და სხვადასხვა ტიპის გზავნილებს უგზავნიან კიევს, მათ შორის ის გზავნილი, რომ ქვეყანაში იზრდება ტერორისტული საფრთხე.

— არაფერი განსაკუთრებული საფრთხე უკრაინაში არ არსებობს, მაგრამ ამ პოლიტიკური მიდგომებიდან გამომდინარე, საჭირო იყო ეს გზავნილი. რაც შეეხება ანკარას, მოგეხსენებათ, რომ უაღრესად უკმაყოფილონი არიან ერდოღანის ქმედებებით და საერთოდ — მიდგომებით. ასევე, ერდოღანის მიერ იმ დოკუმენტზე ხელის მოწერით, რომელიც თურქეთისთვის რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის C-400-ის გადაცემას გულისხმობს. ყველაფერმა ამან განაპირობა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ეს განცხადება, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას მამუკა არეშიძემ.

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲫᲐᲠᲩᲐᲕᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲝᲛᲔᲑᲘᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ

ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის დაწყებამდე უსაფრთხოების ზომები გამკაცრდა. 72-ე სესიას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ლიდერები დაესწრებიან.

გენერალური ასამბლეის აუდიტორიის წინაშე ხვალ პირველად გამოვა სიტყვით შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი. ნიუ-იორკში იმყოფება საქართველოს პრემიერ-მინისტრიც. უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ნიუ-იორკის პოლიციას რამდენიმე ფედერალური სამსახურიც ეხმარება.

ᲛᲐᲓᲣᲠᲝ ᲗᲐᲕᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ ᲐᲓᲐᲠᲔᲑᲡ

ვენესუელის პრეზიდენტი აცხადებს, რომ გარეგნულად სტალინს ძალიან ჰგავს.

„ბევრი ადამიანი კარიბის რეგიონის სტალინად მთვლის. შეხედეთ ჩემს პროფილს. როცა სარკეში ვიხედები, თავი მართლა სტალინი მგონია,“ - განაცხადა ვენესუელა ლიდერმა ადგილობრივი ტელეკომპანიის პირდაპირ ეთერში საუბრისას.

ᲓᲐᲛᲐᲜᲒᲠᲔᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ

დასავლეთ რუმინეთში ძლიერი ქარიშხლის შედეგად, რვა ადამიანი დაიღუპა და 67 დაშავდა. ყველაზე დიდი მსხვერპლი ქალაქ ტიმისოარაში იყო, სადაც ძლიერმა ქარმა ხეები მოთხარა და სახურავები დაანგრია. მოსახლეობის ნაწილს წყლის და ელექტრონერგიის მიწოდება შეუწყდა. ქალაქის მერის ნიკოლაი რობუს თქმით, ქარიშხლის შესახებ ინფორმირებულები არ იყვნენ, რადგან სინოპტიკოსები მხოლოდ წვიმას პროგნოზირებდნენ. სინოპტიკოსების ცნობით, ქარიშხალი ამ დროისათვის უკრაინისკენ მიემართება.

ᲒᲝᲐᲖᲔ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲐᲕᲨᲔᲣᲧᲠᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲔᲜ

გოაზე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე ალკოჰოლური სასმელების მოხმარება აიკრძალება. ახალი რეგულაცია ახალი საკურორტო სეზონის გახსნის დღიდან ამოქმედდება. ადგილობრივი ხელისუფლების განმარტებით, კანონის გამკაცრება მიზნად იმ პრობლემების თავიდან აცილებას ისახავს, რომლებსაც ნასვამი ადამიანები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ქმნიან.

ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ ᲢᲕᲘᲢᲔᲠᲖᲔ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲘᲓᲔᲝᲠᲒᲝᲚᲘ ᲓᲐᲓᲝ

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ტვიტერის გვერდზე ახალი ვიდეორგოლი გამოაქვეყნა, სახელწოდებით „დონალდ ტრამპის ბრწყინვალე დარტყმა.“ კლიპი დამონტაჟებული კადრებით არის აწყობილი. თეთრი სახლის ლიდერი გოლფის ბურთს ჰილარი კლინტონს არტყამს, რომელიც თვითმფრინავის კაბინაში შედის. ვიდეოს ერთ დღეში 60 ათასზე მეტი ნახვა აქვს.

ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲛᲐ ᲒᲔᲘ-ᲐᲦᲚᲣᲛᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ

ბელგრადში გამართულ გეი-აღლუმში მონაწილეობა სერბეთის პრემიერ-მინისტრმაც მიიღო. ანა ბრნაბიჩმა ქალაქის ცენტრალური ქუჩების სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებთან ერთად გაიარა. „სერბეთის მთავრობა ყველა ადამიანის მთავრობაა, როგორც უმცირესობის, ისე უმრავლესობის წარმომადგენლების. თავისუფალი აზრის გამოხატვის უფლება ამ ქვეყანაში ყველას აქვს,“-აღნიშნა ბრნაბიჩმა.

ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘᲡ ᲬᲕᲠᲗᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐ�პᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ

რუსეთ-ბელარუსის ერთობლივი სამხედრო წვრთნების „დასავლეთი 2017“-ის პირველი ეტაპი დასრულდა. სწავლების საწყის ეტაპზე პირობითი მოწინააღმდეგის თავდასხმაზე რეაგირების მანევრები დაამუშავეს. სწავლებაში ჩართული იყო ავიაცია, მძიმე ჯავშან-ტექნიკა და „ტე 80“ ტიპის რეაქტიული ტანკები. მანევრები ბრესტის რეგიონსა და ბარენცის ზღვაში ჩატარდა.

გირაოზე გარიგების დადების წესი

ჩვენი რუბრიკის ერთგულ მკითხველთა თხოვნით დღეს გირავნობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე ვისაუბრებთ. განვმარტავთ გირავნობის სახეებს, უფლებას რამდენიმე გირაოზე, კეთილსინდისიერი მოგირავნის უფლებებს, გირაოზე გარიგების დადების წესს, გირაოს გამოსყიდვის უფლებას, გირაოს აუქციონზე რეალიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს და სხვა. ასევე, როგორც ყოველთვის, პასუხს გავცემთ მკითხველთა კონკრეტულ შეკითხვებს, რათა საჭიროების შემთხვევაში, რედაქციის უანგარო დახმარებით, მათ შეძლონ საკუთარი უფლებების უკეთ დაცვა.

თანამედროვე სამოქალაქო სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გირავნობის საგანს, ანუ გირაოუნარიან სიკეთეებს. როგორც კოდექსშია ხაზგასმული, გირავნობა დასაშვებია მხოლოდ მოძრავ ნივთებსა და ან/და არამატერიალური ქონებრივ სიკეთეზე. სწორედ საგანთა გამიჯნულობა უდევს საფუძვლად მოთხოვნის უზრუნველყოფის მოცემულ საშუალებათა ინდივიდუალიზაციას. გირაოდ შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ ისეთი სიკეთე, „რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ მხოლოდ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად“. გირაოუნარიანია ყველა მოძრავი ნივთი, რომელიც სარგებლობაუნარიანია და გასხვისებაუნარიანია. ამ თვისებით უნდა ხასიათდებოდეს არამატერიალური ქონებრივი სიკეთეებიც. ამიტომაცაა, რომ ვერ დაგირავდება სახელი, ფირმა. ასევე ვერ გამოდგება გირაოდ სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ნივთები.

კითხვა: აუცილებელ საჭიროებასთან დაკავშირებით, გთხოვთ, განგვიმარტოთ, რომელი კანონით რეგულირდება ფინანსურ გირაოსთან დაკავშირებული ურთიერთობები?

ლალი გუკია

პასუხი: 2012 წლის 1 ივლისიდან, საქართველოს პარლამენტის იმავე წლის 25 მაისის №6311 კანონის შესაბამისად, ფინანსურ გირაოსთან დაკავშირებული ურთიერთობა რეგულირდება „საგადასახადო სისტემისა და საგადასახადო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით.

გირავნობის ნივთი უნდა იყოს სარგებელუნარიანი. გირავნობის უფლება აქცესორული უფლებაა. იგი დამატებით ხასიათის უფლებაა და არ არსებობს ძირითადი უფლების გარეშე. აქცესორული ურთიერთობა მხოლოდ უფლებათა შორის ურთიერთობაა, რომელშიც ერთი უფლება ემსახურება მეორის მიზნებს. გირავნობის უფლება, როგორც სანივთო უფლება, ვალდებულებითი უფლების უზრუნველყოფას ემსახურება.

კითხვა: რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, უკანასკნელ წლებში ერთგვარი ცვლილებები შევიდა ნივთზე გირავნობის უფლების გავრცელების პირობებში, მაგრამ სრულყოფილად არ ვარ გარკვეული. იქნებ მაცნობოთ, როდიდან მოხდა ეს ცვლილებები და რას ითვალისწინებს იგი?

ლაშა ფარესიშვილი

პასუხი: თქვენს შეკითხვაში ნაგულისხმევი ცვლილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლის მე-4 პუნქტში შევიდა საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 9 მარტის №4323 კანონით და იგი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: გირავნობა, რომელიც უზრუნველყოფს არაფულად მოთხოვნას, მხოლოდ იმ შემთხვევაშია ნამდვილი, თუ შესაძლებელია მისი გამოხატვა ფულადი ფორმით.

გირავნობის უფლება შესაძლებელია გავრცელდეს როგორც ნივთზე ან მის ნაწილზე, ნივთთა ერთობლიობაზე ან მათ ნაწილზე ან/და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე, ისე მთელ მოძრავ ქონებაზე.

გირავნობის ურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობა გარკვეული თავისებურებით გამოირჩევა. საკმარისია თვალი გადავავლოთ კოდექსის ნორმებს, რომ ადვილად შევნიშნავთ ამ ურთიერთობაში მონაწილე მრავალ სუბიექტს, როგორიცაა: მოგირავნე, დამგირავებელი, პირადი მოვალე, მესაკუთრე (მესამე პირი) თავისი უმარტივესი ფორმით ეს ურთიერთობა მხოლოდ 2 სუბიექტის — მოგირავნისა და დამგირავებლის ურთიერთობაა.

რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი
ირინე ღლონტი
ტელ.: 595051177; 593539909

შეკითხვები მივიღეთ მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებზე რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობის გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით.

მოქმედი კანონიდან გამომდინარე, განვმარტავთ, რომ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობისათვის აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაცია საჯარო სამართლის იურიდიულ პირში — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში. ამასთანავე, გარიგების ნამდვილობისათვის არ მოითხოვება გარიგების ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობის დამოწმება, თუ: 1. გარიგების მონაწილე მხარეები გარიგებას ხელს აწერენ მარეგისტრირებელ ორგანოში უფლებამოსილი პირის თანდასწრებით; 2. მოგირავნესა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს შორის დადებულია ხელშეკრულება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის რეგისტრაციის თაობაზე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ მატერიალური ან ელექტრონული დოკუმენტების საფუძველზე მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

კითხვა: ამ რამდენიმე თვის წინათ მეუღლემ მიმატოვა და მეგობარ ქალთან გადავიდა საცხოვრებლად. მყავს 2 მცირეწლოვანი შვილი, ეკონომიურად ძალიან მიჭირს, ამიტომ გადავწყვიტე ლომბარდში დავაგირავო ჩემი საქორწინო ბეჭედი და ოქროს ყელსაბამი. ვინაიდან ამ საქმეში არავითარი გამოცდილება არ მაქვს, გთხოვთ, მაცნობოთ, როგორი წესით ხორციელდება ლომბარდში ნივთების დაგირავება?

ლარისა კონსტანტინოვა

პასუხი: ლომბარდში ნივთების დაგირავება ხორციელდება მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმებისა და ნივთის ლომბარდის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის გზით.

თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ლომბარდის მოთხოვნა მოვალის მიმართ წყდება იმ შემთხვევაშიც, როცა გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა მთლიანად არ ფარავს ლომბარდის მიმართ არსებულ ვალდებულებას.

მოქმედი კანონის თანახმად, ერთი და იგივე საგანი შეიძლება რამდენჯერმე დაგირავდეს. ერთი შეხედვით, ეს შეიძლება გაუგებარი იყოს, მაგრამ სამოქალაქო კოდექსი ამბობს, რომ ერთი და იგივე საგნის დაგირავების დროს, გირავნობის უფლებათა რიგითობა განისაზღვრება მათი სარეგისტრაციოდ წარდგენის დროის შესაბამისად, ანუ, ვისი გირავნობაც წინ უსწრებს, გირაოთი დაკმაყოფილების ჯერიც მისია. თუ მოვალე დააკმაყოფილებს კრედიტორს, მისი გირავნობის უფლება წყდება და მომდევნო მოგირავნე იკავებს მის ადგილს და ასე გრძელდება ბოლომდე.

კითხვა: როგორ გადაწყდება საკითხი იმ შემთხვევაში, თუ გირავნობის საგანს წარმოადგენს სამომავლო ქონება?

ზეზვა გოგოხია

პასუხი: თუ გირავნობის საგანს წარმოადგენს სამომავლო ქონება, მაშინ დამგირავებლის მიერ ქონების შეძენის შემთხვევაში წინა მესაკუთრის დროს წარმოშობილი გირავნობის უფლება წინ გაუსწრებს ახალი მესაკუთრის დროს წარმოშობილ გირავნობის უფლებას, მათი წარმოშობის თარიღის მიუხედავად.

გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხიდან პირველ რიგში დაიფარება რეალიზაციის ხარჯები და დაკმაყოფილდება რეალიზაციის განმხორციელებელი მოგირავნის მოთხოვნა.

გირავნობით უზრუნველყოფილი ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, აგრეთვე შემდგომი მოთხოვნების არარსებობის შემთხვევაში, ამონაგებიდან დარჩენილი თანხა დამგირავებელს უნდა გადაეცეს.

კითხვა: რა შემთხვევაში შეუძლია მოგირავნეს სავაჭრო დაწესებულებას მიანდოს გირავნობის საგნის გაყიდვა?

როინ ვაშალომიძე

პასუხი: თუ გირავნობის საგანს აქვს საბირჟო ან საბაზრო ფასი, მოგირავნეს შეუძლია გირავნობის საგნის გაყიდვა მიანდოს სპეციალურ სავაჭრო დაწესებულებას.

დღევანდელ წერილში გირაოსთან დაკავშირებული თქვენთვის საინტერესო სამართლებრივი საკითხების თეორიულად ახსნის პარალელურად, აღნიშნულ თემაზე მიღებულ ყველა შეკითხვასაც ვუპასუხეთ. თუ კვლავ გაგიჩნდებათ შეკითხვები, მოგვწერეთ რედაქციაში ან შეგვეხმიანეთ მითითებულ ტელეფონის ნომერზე და დაუყოვნებლივ გიპასუხებთ. როგორც ყოველთვის, შეგვატყობინეთ აგრეთვე სამეწარმეო, სამოქალაქო, სოციალური დაცვისა და შრომის სამართლის რომელ კონკრეტულ თემაზე გსურთ იურიდიული კონსულტაციის მიღება და გაზეთის უახლოეს ნომერში ჩვენც მასზე გადავიტანთ ყურადღებას.

ავიაციის გამოყენებით ფართობები გურიის რეგიონშიც დამუშავდება

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო საავიაციო წამლობა გურიის რეგიონში მიმდინარეობს. ავიაციის გამოყენებით ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში 5 ათასამდე საყანე ფართობებისა და დიდი მასივების დამუშავება იგეგმება.

ავიაციის პარალელურად, ისევე, როგორც სამეგრელოსა და იმერეთში, გურიის რეგიონში მუშაობს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალური ტექნიკა, რომელიც დასავლეთ საქართველოშია მობილიზებული. თერმული ნისლის ტექნოლოგიით, სამანქანე და სატრაქტორე აგრეგატებით მავნებლის საწინააღმდეგოდ იწამლება ის ფართობები, სადაც ავიაციის გამოყენება შეუძლებელია.

როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა **ზურაბ ჩეკურაშვილმა** აღნიშნა, მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებები უცხოელი ექსპერტების ჩართულობით შემუშავებული გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს და გატარებული სამუშაოების შედეგად მავნებლის გეოგრაფია არ გაზრდილა და არსებულ საზღვრებში ლოკალიზება მოხერხდა. მავნებლის პოპულაციის შემცირების მიზნით ღონისძიებები კვლავ გაგრძელდება.

სარფში 2,61 გრამი მარიხუანა აღმოაჩინეს

საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფი“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა თურქეთიდან შემომავალი ავტობუსის სამსახურებრივი ძაღლის მეშვეობით დათვალიერების შედეგად, მგზავრის - საქართველოს მოქალაქის, ო.ღ-ს სავარძელზე, ნარკოტიკული საშუალება **„მარიხუანა“ — 2,61 გრამი აღმოაჩინეს.**

საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა.

◎ ძიუდო

ხუთი მედლით, მაგრამ უჩემპიონოდ

სლოვენიის ქალაქ მარიბორში დამთავრდა ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს 14 წარმომადგენელი (55 კგ-ჯაბა პაპინაშვილი, ვანო ნინიაშვილი, 60-რობიზონ ბეგლარაშვილი, 66-შალვა გაზაშვილი, ბაგრატ ნინიაშვილი, 73-ტატო გრიგალაშვილი, 81-ლუკა მაისურაძე. 90-ნიკა სიდამონიძე, +100-გელა ზაალიშვილი, ამირან წიქორიძე, 52-ნატალია ყიფშიძე, 57-მზია ბებოშვილი, ეთერ ლიპარტელიანი, 63-სალომე მჭედლიშვილი) მონაწილეობდა. ჩვენმა ძიუდოისტებმა 2017 წლის ევროპირველობა ხუთი მედლით ჩაამთავრეს: მეორე ადგილებზე გავიდნენ საქართველოს ნაკრები და ლუკა მაისურაძე, ხოლო ტატო გრიგალაშვილი, ამირან წიქორიძე და გელა ზაალიშვილი ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

მაისურაძემ ზედიზედ ოთხი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან: მოლდოველი ვიქტორ სტერპუ, რუსი ტურპალ ტეპკაევი, უკრაინელი ალექსანდრ ჩერკაი და გერმანელი იანუშ ჰანფილდი, მაგრამ გადამწყვეტი პაექრობა გერმანიის ნაკრების წევრ ტიმ გრამკოვთან დათმო.

გრიგალაშვილმა ძირითად ბადეში ჯერ იტალიელი ლეონარდო კასალია დაამარცხა, მერე ავსტრიელ კრისტოფერ ვაგნერსა და ბრიტანელ დანიელ პოუელს აჯობა, ნახევარფინალი უფროსებში ევროპის ჩემპიონ ჰიდაიათ ჰეიდაროვთან (აზერბაიჯანი) დათმო. ბრინჯაოს მედლისთვის პაექრობაში კი შვეიცარიელ ნაიმ მეტს სძლია.

წიქორიძემ ბულგარელი ვესელინ ივანოვი და მასპინძელი ენეუ მარინიჩი დაამარცხა, თავად მომავალ ჩემპიონ ინალ ტასოევთან (რუსეთი) წააგო. თუმცა, რეპეშაჟში იგნას მეჩაჟუსი (ლიტვა) და ლეონიდ გასიუკი (უკრაინა) დაჯაბნა.

ზაალიშვილმა მერვედფინალში ბრიტანელი ვესლი გრინიჯი ჩამოიშორა გზიდან, მეორე შეხვედრა ავსტრიელ შტეფან ჰეგისთან წააგო, ხოლო დამამშვიდებელში უნგრელი რიჩარდ ვაჩულიკი და ჰოლანდიელი ჯურ სპიკერი დაამარცხა საქართველოს ნაკრები არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში 41 ქვეყანას შორის მე-12 ადგილზე გავიდა.

ლაშა გუჯეჯიანის შეგირდები გუნდურში, შარშანდელი ევროპირველობის მსგავსად, ფინალში ისევ აზერბაიჯანელებს შეხვდნენ და ამჯერად მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ. ტიტულისთვის 17 ქვეყნის ნაკრები იბრძოდა. ქართველმა ფალავნებმა ზედიზედ მოუგეს შვეიცარიას (4:1), ჩერნოგორიას (5:0) და რუსეთს (3:2). ქართულ-აზერბაიჯანული ფინალის პირველი შეხვედრა ბაგრატ ნინიაშვილმა იაკუბ ჯავადოვთან ვაზარით წააგო, ტატო გრიგალაშვილმაც ჰიდაიათ ჰეიდაროვთან პაექრობისას მისი ბედი გაიზიარა. ლუკა ზაქარიაძემ მურატ ფატიევი შებოჭა და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ ნიკა სიდამონიძე აზარ იაგუბოვს ვერ გაუმკლავდა. მართალია, ბოლო ორთაბრძოლაში გელა ზაალიშვილმა ზელიმ კოცოევი შებოჭა, მაგრამ თანაგუნდელებს ვერ უშველა — საქართველოს ნაკრები 2:3 დამარცხდა და მეორე ადგილს დასჯერდა.

ვაჟებში მესამე ადგილებზე რუსები და ბრიტანელები გავიდნენ. გოგონებში ჩემპიონობა ფრანგებმა მოიპოვეს, რომლებმაც ფინალში ჰოლანდიელებს სძლიეს, მესამე ადგილები კი რუსებმა და გერმანელებმა დაიკავეს.

ლექსო ცინცაძე

◎ ლეგიონერი

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ ნახევარმცველმა ჯანო ანანიძემ ტრავმა მოიშუშა და სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

ანანიძე „სპარტაკს“ დაუბრუნდა

როგორც „სპარტაკის“ ოფიციალური ვებ-გვერდი იტყობინება, ანანიძე რუსეთის თასის 1/16-ფინალში კრასნოდარის „ყუბანთან“ ხვალ გასამართი მატჩისთვის თანაგუნდელებთან ერთად ემზადება.

სექტემბრის სანაკრებო შეხვედრების შემდეგ კლუბში დაბრუნებულ ქართველ ფეხბურთელს ტრავმის გამო რუსეთის ჩემპიონატში „რუბინთან“ (1:0) და „ტოსნოსთან“ (2:2) შეხვედრები გაუცდა, ასევე მონაწილეობა არ მიუღია „მარიბორთან“ (1:1) ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის სასტარტო მატჩში.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

ჩვენც უნდა ვიამაყოთ!

საქართველოს ეროვნული ნაკრების სერბმა დამრიგებელმა იგორ კოკოშკოვმა ჩვენს გუნდს ზედიზედ სამჯერ უთავკაცა ევრობასკეტის ფინალურ რაუნდებში, სამწვრთნელო კარიერის მწვერვალს კი თურქეთში დასრულებული კონტინენტის ჩემპიონატის მოგებით უწია, სადაც 45 წლის სპეციალისტის სლოვენიელმა შეგირდებმა ყველა შეხვედრაში გაიმარჯვეს, მათ შორის ფინალურ მატჩში მისსავე თანამემამულეებთან — 93:85. ეს „მწვანეთა“ მიერ მოპოვებული პირველი საერთაშორისო ტიტულია.

გადამწყვეტი ბრძოლის წინ, მოგეხსენებათ, სათუო იყო სერბთა ტრავმირებული ძირითადი გამთამაშებლის იოვიჩის თამაში, რომელმაც ნახევარფინალში რუსებთან კოჭი იღრძო.

მართალია, იგი სარბიელზე მაინც გამოვიდა, მაგრამ ტკივილმა მხოლოდ რამდენჯერმე მისცა გაბრწყინების საშუალება, თანაც ნუ დაგვიწყდება, რომ ამჯერად ალექსანდრ ჯორჯევიჩის განკარგულებაში არ იყვნენ მისივე კრებულის გამოკვეთილი ლიდერები თეოდოშიჩი, რადულიცა და ბიელიცა.

კრიტიკულ ვითარებაში პარტნიორებს კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ ბოგდანოვიჩი (22 ქულა) და მაჩვანი (18 ქულა) გაუძღვნენ, მაგრამ გენიალურ გორან დრაგიჩთან (35 ქულა!), დონჩიჩთან, პრეპელიჩთან და ვიდმართან ბოლომდე ღირსეულად გასამკლავებლად მათი ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა.

სხვათა შორის, ტრიუმფატორებს ავადმყოფობის გამო ზორან დრაგიჩი მთელი ფორუმის განმავლობაში აკლდათ, რასაც გადამწყვეტი დუელის მესამე პერიოდში 18 წლის ვუნდერკინდის დონჩიჩის სათადარიგოთა სკამზე გადანაცვლება დაემატა (ბედის ირონიით, მასაც კოჭი ამოუტრიალდა), მაგრამ იმ საღამოს სლოვენიელთა შეჩერება შეუძლებელი იყო.

მოკლედ, „ძველ სამყაროს“ ახალი მბრძანებელი ჰყავს.

||| ადგილისთვის. ესპანეთი — რუსეთი 93:85.

სიმბოლური ხუთეული: გ. დრაგიჩი, შვედი (რუსეთი), დონჩიჩი, ბოგდანოვიჩი, პ. გაზოლი (ესპანეთი).

ბომბარდირი: შვედი — 219 ქულა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

წინ ევროპული ფინალია

დევისის თასის ფინალში საფრანგეთი და ბელგია გავიდნენ. ნახევარფინალში ბელგიამ ავსტრალიას 3:2 სძლია, ფრანგებმა კი ჯოკოვიჩის გარეშე მოასპარეზე სერბეთის ნაკრებს აჯობეს — 3:1.

2:2-ზე გადამწყვეტ შეხვედრაში ბელგიელმა ჩოგბურთელმა სტივ დარსისმა ავსტრალიელი ჯორდან ტომპსონი საკმაოდ მარტივად — 6:4, 7:5, 6:2 დაამარცხა.

დევისის თასი ბელგიას ჯერ მოგებული არ აქვს, თუმცა, აქამდე ფინალში ორჯერ გავიდა (1905, 2015), საფრანგეთი კი დევისის თასის 9-გზის ჩემპიონია (1927, 1928, 1929, 1930, 1931, 1932, 1991, 1996, 2001)

საფრანგეთისა და ბელგიის ფინალური შეხვედრა 24-26 ნოემბერს საფრანგეთში გაიმართება.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

დომინიკა - სამშობლოსათვის

სლოვენიელი ტოპ-მოდელის დომინიკა სიჯარტოოვას სახელი ევროპული კალათბურთის ქომაგებმა სულ ცოტა ხნის წინათ, ანუ მას შემდეგ გაიგეს, როდესაც ქალბატონი დომინიკა მილანიდან (ამჟამად ეს ასული სწორედ მილანში მოსახლეობს) სლოვენიის საკალათბურთო ნაკრების საქომაგოდ სტამბოლში გაემგზავრა.

სლოვენიაში სპორტის ეს დიდებული სახეობა რომ პოპულარულია — ეს ყველამ ვიცით და როგორც დომინიკა ამბობს, იყო დრო, როდესაც თავადაც ოცნებობდა დიდი კალათბურთის თამაშზე, თუმცა, პოპულარობა მაინც თავისმა უზადო სხეულმა მოუტანა და რაღაა იგი პოდიუმი, სადაც სიჯარტოოვას ქალი გუთანივით არ გადი-გამოდის...

გასვლა-გამოსვლაზე გაგვახსენდა, დომინიკა სიჯარტოოვა არასოდეს გამოირჩეოდა მამაკაცმრავლობით და მიუხედავად იმისა, რომ თავზე მამრობითი სქესის ჯენელები მუდმივად ეხვეოდნენ, მისი ბევრი კოლეგისგან განსხვავებით, მეტად თავშეკავებული ქალი ყოფილა. მოკლედ, ოჯახში თამამად შეიშვება!

როსტომ რაჭველიშვილი

...დარჩი დარჩიძე სკოლაში და ყველა პარტია დაივიწყე!..

მარინა დარჩიძე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრია

მარინა დარჩიძე, 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე სხეფის მეორე უბანზე, ოლქის მიერ არჩეული საუბნო კომისიის წევრი იქნება. ინფორმაციას ამის შესახებ „აჭარის ტელევიზია“ ავრცელებს. დარჩიძე 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროსაც ამავე უბანზე თავმჯდომარის მოადგილე იყო.

შეგახსენებთ, რომ მარინა დარჩიძე შუახევის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მასწავლებელია. მან სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავად ფეისბუქზე პირველკლასელებთან გადაღებული ფოტო გამოაქვეყნა,

სადაც მოსწავლეებს ხელში „ქართული ოცნების“ დროშები უჭირავთ.

* * *

„მე განგებ არ გამიკეთებია,“ – ასე აფასებს შუახევის სკოლის მასწავლებელი მარინე დარჩიძე სოციალურ ქსელში გავრცელებულ ფოტოს, სადაც პირველკლასელებს საკლასო ოთახში „ქართული ოცნების“ პარტიული დროშა უკავიათ.

ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელი აცხადებს, რომ ფოტოები თავად დადო სოციალურ ქსელში. მისი თქმით, ბავშვებმა დროშები სხვა მოსწავლეებს გამოართვეს.

„ქართული ოცნების“ აქტივისტი არ არის და დასადგენია, რეალური მოტივები

პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარის მარიამ ჯაშის განცხადებით, შუახევის სკოლის პედაგოგი, რომელსაც სკოლის მოსწავლეებთან ერთად სურათი „ქართული ოცნების“ პარტიული დროშებით აქვს გადაღებული, სულ მცირე, საყვედურს მიიღებს.

„ჩვენი ინფორმაციით, აღნიშნული პედაგოგი „ქართული ოცნების“ აქტივისტი არ არის და დასადგენია, რეალური მოტივები, რატომ აღმოჩნდა „ქართული ოცნების“ დროშები დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან. ქვეყანაში რაც არ უნდა პოლიტიკური პროცესი მიმდინარეობდეს, არც ერთ პოლიტიკურ ძალას არა აქვს უფლება, სკოლაში პოლიტიკა შეიტანოს. აღნიშნული საქმე დისციპლინარულ კომიტეტს გადაეცა. ჩვენი ხელისუფლების პირობებში, საგანმანათლებლო სისტემის დეპოლიტიზაცია მოხდა და ჩემი საარჩევნო კამპანიის დროს, სკოლებში შეხვედრა არ ყოფილა. კონკრეტულ ფაქტთან მიმართებით დასადგენია კონკრეტული გარემოებები და მოტივები.

პედაგოგისთვის, სულ მცირე, საყვედური იქნება გათვალისწინებული, მაგრამ კომიტეტის გადაწყვეტილებას დაველოდოთ“, – დასძინა ჯაშმა.

„დავიწყეთ მოკვლევა... სრული სიმკაცრით დაისჯება ყველა“

აუცილებლად დაისჯება ყველა პირი, ვინც შეგნებულად ან შეცდომით დაუშვა ბავშვების პოლიტიკურ პროცესში ჩართვა – აცხადებს განათლების მინისტრი შუახევის საჯარო სკოლაში გადაღებულ ფოტოსთან დაკავშირებით. მინისტრის თქმით, განათლების სამინისტროს მიერ ამ საკითხზე მოკვლევა დაწყებულია და მისი შედეგები მიმდინარე კვირაში გახდება ცნობილი.

მინისტრი შუახევის სკოლის მასწავლებლის და დირექციის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას არ გამორიცხავს.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3.

293-13-34; 599 797679

◎ ბუნება მბრძანებელია...

დამანგრეველმა სტიქიამ საწვავის ფასის სტაბილურობასაც ძირი გამოუთხარა

საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასის სტაბილურობა ქარიშხლებმა დაარღვია. აშშ-ში მძვინვარე სტიქიის გამო საწვავის ფასი გაიზარდა როგორც საერთაშორისო ბირჟებზე ისე საქართველოში. ადგილობრივ ბაზარზე ბენზინი და დიზელი უკვე 5-10 თეთრის ფარგლებში გაძვირდა. საერთაშორისო არასტაბილურობას ზედ დაერთო ეროვნული ვალუტის მოულოდნელი რყევა და ამჯერად საცალო ქსელში მორიგ გაძვირებას ელიან.

მიუხედავად იმისა, რომ ნავთობმწარმოებლების ინფრასტრუქტურა ტროპიკული ქარიშხლებისთვის მეტწილად მზადაა, სტიქიამ მაინც თავისი გაიტანა. მატერიალური ზარალის მიყენების შემდეგ აშშ-ში ნავთობპროდუქტების დეფიციტზე ალაპარაკდნენ. საერთაშორისო ბირჟებზე, „ჰარვის“ მსგავსად, ფასების მატებას ამჯერად „ირმას“ უკავშირებენ.

აშშ-ში გადამამუშავებელი ქარხნების შეჩერების შედეგად შეიქმნა საწვავის დეფიციტი, რის გამოც აშშ-ში ბენზინისა და დიზელის საწვავი მნიშვნელოვნად გაძვირდა და 1 გალონის (3,78 ლ) საშუალო შეწონილი ფასი უკვე 2,60 დოლარზეა.

რაც შეეხება საქართველოს საცალო ქსელს, საწვავის ფასი კიდევ ერთხელ დაიძრა მაღლა. ზედიზედ 2 თვის განმავლობაში საერთაშორისო ბაზრებზე საწვავის გაიაფების ტენდენცია ნარჩუნდებოდა, თუმცა დაახლოებით 10 დღის წინ მან გეზი იცვალა. როგორც მოსალოდნელი იყო ცვლილება ადგილობრივ ბაზარსაც შეეხო და საწვავი როგორც არაბრენდირებულ სექტორში, ასევე ბრენდირებულ სადგურებშიც, რამდენიმე თეთრით გაძვირდა.

მიუხედავად ამისა, როგორც ანალიტიკოსი **ბექა კემულარია** ვარაუდობს, მსხვილ ბენზინგასამართ სადგურებს ჯერ კიდევ აქვთ შესაძლებლობა, რომ ფასი შეინარჩუნონ. მეტიც – კიდევ რამდენიმე პუნქტითაც რომ გაუფასურდეს ლარი, ქართველ მომხმარებელს საწვავი არ უნდა გაუძვირდეს.

„უნდა დაველოდოთ, რა მოხდება უცხოურ ბაზრებზე და გარკვეულ პერიოდში იგი აისახება საქართველოს საცალო ქსელშიც. ჩემი აზრით, ჯერ-ჯერობით ფასის მკვეთრ ზრდას არ უნდა ველოდოთ. 5 კომპანიას იმდენი მოგება აქვს, რომ ფასი დროებით დააბალანსონ. კურსი 2,7-ზეც რომ ავიდეს, მაინც აქვთ სათანადო რესურსი. იგივეს ვერ ვიტყვი არაბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებზე“, – აცხადებს კემულარია.

ბოლო 2 კვირაა ნავთობის ფასს ოკეანისგაღმა მძვინვარე ქარიშხლები განსაზღვრავს. აშშ-ში სტიქიის გამო მექსიკის ყურის რაიონში მუშაობა შეაჩერა 15-მდე ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ. მათ შორის, ტეხასის შტატში პორტარტურში მდებარე უმსხვილესმა ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ ოტივა Enteprises-მა. ეს ქარხნები უზრუნველყოფდნენ აშშ-ში ნავთობის გადამუშავების დაახლოებით 20%-ს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქარიშხალი „ჰარვის“ შედეგების გამო აშშ-ში, მექსიკის ყურეში 25%-ით შემცირდა ნავთობის მოპოვება. კერძოდ, დღე-ღამეში 1,74 მლნ. ბარელიდან 1,32 მლნ ბარელამდე.

აშშ-ში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების შეჩერების შედეგად შეიქმნა საწვავის დეფიციტი, რის გამოც აშშ-ში ბენზინისა და დიზელის საწვავის ფასის მნიშვნელოვანი მატება მოხდა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრივ ნავთობის ფასი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად იმ მიზეზით, რომ ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების შეჩერების ფონზე შემცირდა ნავთობის მოხმარება.

ექსპერტთა აზრით, ნავთობის ფასის ზრდის ტენდენცია დიდ ხანს არ შენარჩუნდება და ფასების დასტაბილურება მალევე მოხდება ქარიშხალი „ჰარვის“ შესუსტების ფონზე და მექსიკის ყურეში წარმოების აღდგენისთანავე. სწორედ ამ მიზანს ემსახურება აშშ-ის ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ნავთობის სტრატეგიული მარაგებიდან 500 ათასი ბარელის გაყიდვასთან დაკავშირებით, რაც ბოლო 5 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა“.

ბექა დანელია

სანთელი

გარდაიცვალა გამოჩენილი ენერგეტიკოსის იური ჭედიას მეუღლე, ქალბატონი

ნათელა კუხიანიძე-ჭედიასი

ღრმა სამძიმარს ვუცხადებთ შვილებს ლია და მანანა ჭედიებს და მათ ნათესაობას.

გამოსვენება 19 IX 14.00 სთ-ზე წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიიდან (ვაკე, ყოფილი მე-9 საავადმყოფოს ტერიტორია).

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;
საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი;
საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფკავშირი.

რამაზ სუპატაშვილი

გარდაიცვალა ჩვენი მეგობარი რამაზ სუპატაშვილი.

იგი იყო თავისი საქმის ჭეშმარიტი პროფესიონალი, ნიჭიერი მათემატიკოსი, უღალატო მეგობარი და მუდამ სიახლის მაძიებელი.

საქართველოს ულამაზესი კუთხიდან, იმერეთიდან წამოსულმა ობოლმა ყმაწვილმა ზუსტად იცოდა, რა უნდა ეკეთებინა დედაქალაქში. მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებულმა ახალგაზრდამ ჯერ კომაროვის სახელობის მათემატიკური სკოლა დაამთავრა, შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

რამაზ სუპატაშვილმა პედაგოგიური მოღვაწეობა პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში დაიწყო, სადაც გამოცდილი კოლეგების ხელშეწყობით, მალე გაბრწყინდა მისი, როგორც ნიჭიერი მათემატიკოსისა და შემოქმედი მასწავლებლის სახელი.

თბილისის ომის წლებში ბატონი რამაზი ეროვნული მოძრაობის შუაგულში ტრიალებდა. მკლავში დაჭრილიც არავის ანებებდა ქართული ლიტერატურის მუზეუმისა და სხვა მემორიალური შენობების იავარქმნას, ომის დამთავრების შემდეგ კი გახლეჩილი საქართველოს გამთლიანება იყო მისი ერთადერთი საზრუნავი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი დამოკიდებულება მოსწავლეებისადმი. იგი მუდამ მათ გვერდით იყო და ღირსეული და ზნეობრივი ცხოვრების მაგალითს აძლევდა მათ.

რამაზ სუპატაშვილის გარდაცვალება დიდი დანაკლისია როგორც მისი ოჯახის, ასევე მეგობრების, კოლეგებისა და საქართველოს პედაგოგიური საზოგადოებისათვის.

მეგობრები პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლიდან

საქართველოს მოქალაქეთა საყურადღებოდ!

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

საქართველოს იმ მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომლებიც საბერძნეთის ტერიტორიის ტრანზიტით გადაკვეთით, ევროპის ქვეყნებში შეძენილი ავტომობილით ბრუნდებიან საქართველოში.

„გასული თვეების განმავლობაში გახშირდა შემთხვევები, როდესაც ევროპის ქვეყნებში ავტომობილის შეძენისას, მისი ევროკავშირის ტერიტორიიდან გაყვანისთვის საჭირო სხვა დოკუმენტებთან ერთად, საქართველოს მოქალაქეები არ ითხოვენ ე.წ. საექსპორტო დეკლარაციას, რის გამოც საბერძნეთ-თურქეთის სასაზღვრო პუნქტზე უხდებათ ჯარიმის გადახდა.

ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული პრობლემა წარმოიქმნება, რადგან საქართველოს მოქალაქეები არ ფლობენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ევროპის ქვეყანაში შეძენილი ავტომობილით საქართველოში დაბრუნებისას, საბერძნეთის ტერიტორიის ტრანზიტით გადაკვეთის შემთხვევაში, სავალდებულოა, მოქალაქეს ჰქონდეს ავტომობილის საექსპორტო დეკლარაცია, რათა შეუფერხებლად გადაკვეთოს საზღვარი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ავტომობილით საზღვრის გადაკვეთის უფლება არ მიეცემათ.

საბერძნეთის კანონმდებლობით, საექსპორტო დეკლარაციის გარეშე ქვეყნის ტერიტორიიდან ავტომობილის გაყვანისთვის დაწესებულია 500 ევროს ოდენობით ჯარიმა. შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ევროპაში შეიძინეს ავტომობილი და არ ფლობენ საექსპორტო დეკლარაციას, საბერძნეთ-თურქეთის სასაზღვრო პუნქტზე („კიპის“ სასაზღვრო-გამტარი პუნქტი), საბერძნეთის საბაჟო სამსახურის მიერ ეკისრებათ აღნიშნული თანხის გადახდა.

აღსანიშნავია, რომ საექსპორტო დეკლარაციის მიღება ხორციელდება ავტომობილის შეძენის ქვეყანაში. საბერძნეთის საბაჟო სამსახურების მიერ, ადგილზე საექსპორტო დეკლარაციის გაფორმება არ ხორციელდება.

აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია განთავსებულია ქ. სალონიკში საქართველოს გენერალური საკონსულოს ვებ-გვერდზე: http://thessaloniki.con.mfa.gov.ge.

ულოცავთ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე, თამაზ გოგინაშვილი

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების წევრს, საქართველოს დამსახურებულ ინჟინერსა და საბანკო სისტემის გამოჩენილ წარმომადგენელს, „საქართველოსა“ და „ვი-თი-ბი“ ბანკის ყოფილ თავკაცს, დიდებულ ქართველსა და უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

ჯუმბერ გონაშვილს

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

კახეთის რეგიონში მევენახეების შემოსავლებმა 60 მლნ ლარს მიაღწია

„რთველი 2017“-ის სეზონზე, კახეთის რეგიონის მევენახეების მიერ ღვინის კომპანიებში ყურძნის რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა 60 მლნ ლარს მიაღწია.

18 სექტემბრის 10.00 საათის მონაცემებით, კახეთის რეგიონში გადამუშავებულია 50 ათასი ტონა ყურძენი. აქედან, 20,1 ათასი ტონა რქაწითელი, 25,6 ათასი ტონა საფერავი, 1,7 ათასი ტონა კახური მწვანე, დანარჩენი კი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.

კახეთის რეგიონში ღვინის კომპანიებს ყურძენი 5 855 მევენახემ ჩააბარა.

ყურძნის გადამუშავების პროცესში ჩართულია 97 ღვინის კომპანია. სულ რთველის საკოორდინაციო შტაბში დარეგისტრირებულია 177 ღვინის კომპანია.

დღეღამური გადამუშავების მაჩვენებელმა 5 ათას ტონას მიაღწია, რაც ნიშნავს რომ რთველი კახეთში აქტიურ ფაზაშია.

„დამამშვიდებელი“ წყალი

საყოველთაოდ მიღებული მოქმედებაა, როცა ადამიანი აფექტის მდგომარეობაშია, მას დასამშვიდებლად ჭიქა წყალს აწვდიან.

მედიკოსები ამტკიცებენ, რომ ასეთ დახმარებას არა მარტო ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. საქმე ისაა, რომ ერთმანეთის სიახლოვეს განთავსებული საყლაპავისა და ხორხის ყლაპვისა და სუნთქვის პროცესები ერთმანეთთან კოორდინირებულია, ამიტომაც წყლის ნელ-ნელა სმა სუნთქვის სიხშირეს რეფლექტორულად ამცირებს და მის რიტმს ათანაბრებს.

მაკნატუნა

პაკისტანელმა სპორტსმენმა რაშიდ ნასიმმა 60 წამში 43 მწვანე ქოქოსი... **თავით გატეხა, რითაც ახალი რეკორდი დაამყარა.**

ამ შედეგის მისაღწევად დედაქალაქ ყარაჩის მცხოვრები ექვსი თვე ვარჯიშობდა, იმის მიუხედავად, რომ იგი საბრძოლო ხელოვნებათა მებრძოლია, ტრავმებისთვის თავის არიდება მან ვერ შეძლო.

ეს არაა რაშიდ ნასიმის მიერ დამყარებული პირველი რეკორდი. დაახლოებით ერთი წლის წინათ, მან ასევე თავით 210 კაკალი 1 წუთში დაამტვრია.

„გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრა ხუთჯერ ვცადე, – განაცხადა ნასიმმა, – „ჩემი მიზანია 50 რეკორდის დამყარება, რათა ქვეყანამ ჩემით იამაყოს“.

თუკი მან ჩანაფიქრის შესრულება შეძლო, ქვეყანა მისით ან იამაყებს, ან არც მაინცდამაინც, მაგრამ პრობლემა, როგორც ჩანს, ნიგვზის, ქოქოსის კაკლების თუ თხილის უხვ მოსავალში იქნება, თორემ ვინ იცის, იქნებ მათი საზღარგარეთ შეძენა გახდეს საჭირო...

ტყუილსა და სისასტიკეზე უფრო საშიში

ფლორიდის **უნივერსიტეტის მეცნიერთა ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ უხეშობა... გადამდები ყოფილა.**

ის, თურმე, ვირუსივით ვრცელდება: კაცმა, რომელსაც უხეშად მოექცნენ, შემდეგ შვიდი დღის განმავლობაში მის გარშემო მყოფ ხალხს ეუხეშება, ხოლო შინაგანი სულიერი სიმშვიდის აღსადგენად მთელი დღე-ღამე სჭირდება.

უხეში მოპყრობა გაცილებით ხშირად ხდება ურთიერთობათა გადაწყვეტის მიზეზი, ვიდრე **ტყუილი** ან **სისასტიკე**.

სახიფათო წამლები

ისინი, ვისაც გული აწუხებს, კორვალოლსა და ვალოკორდინს, რომ იტყვიან, „კარგად იცნობენ“. არადა, ევროპის მრავალ ქვეყანაში ამ წამლებს საერთოდ არ აწარმოებენ, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი მათ ნარკოტიკულ პრეპარატებს მიაკუთვნებენ.

ჩვენში ამ მედიკამენტების დიდი პოპულარობის მიუხედავად, ბევრი ექიმი მათ მოხმარებას პაციენტებს არ ურჩევს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ კორვალოლიც და ვალოკორდინიც არა გულის წვეთებია, როგორც ეს ბევრს ჰგონია, არამედ **სედატიური** **დამაწყნარებელი** **საშუალებები**. მათი მთავარი შემადგენელი ნივთიერება – ფენობარბიტალი – სწრაფ მიჩვევას იწვევს. გარდა ამისა, ის ასტიმულირებს ღვიძლის მუშაობას, რომელიც აქტიურად იწყებს სხვა პრეპარატების დაშლას და სწორედ ამას უკავშირდება ხანდაზმულ პაციენტთა ჩივილები იმის თაობაზე, რომ წამლები არ შველით. მათი მიღება არ არის რეკომენდებული ფეხმძიმე ქალებისთვის, რადგან არის მონაცემები, რომ მინიმალური დოზებით მიღების შემთხვევაშიც კი, მათ ნაყოფის მძიმე პათოლოგიების გამოწვევა შეუძლიათ.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4663; ევრო - 2.9467;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3512;
100 რუბლი - 4.2789; თურქული ლირა - 0.7168;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4484;
1000 სომხური დრამი - 5.1596.

ამინდი 18 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13	დღე	+36
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+33
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+38
მთიანი რაიონები -	ღამე	+15,	დღე	+36
თბილისი:	ღამე	+17,	დღე	+33

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge